პრაქტიკული რეკომენდაციები

სისხლის სამართლის პროცესის ძირითად საკითხებზე

მაგისტრატი მოსამართლისათვის

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა

I. აღკვეთის ღონისძიებანი

1. აღკვეთის ღონისძიების შერჩევა

ა). აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოში შუამდგომლობის შეტანის უფლებამოსილება

ბ). აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განმხილველი სასამართლო

გ). შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოში წარსადგენი მასალები

დ). სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფორმა

ე). საპროცესო იძულების ღონისძიებებთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილების მქონე პირები და მათი ინფორმირება სასამართლო სხდომის ადგილისა და დროის შესახებ

ვ). სასამართლო სხდომის პროცედურა

ზ). სხდომის სტანდარტული პროცედურები

თ). სხდომის შესაძლო არასტანდარტული პროცედურები

ი). გადაწყვეტილების მიღების წესი

კ). მოსამართლის გადაწვეტილებაში სავალდებულოდ მისათითებელი საკითხები

ლ). საკითხები და გარემოებები, რომლებიც ყველა შემთხვევაში უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების შერჩევასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვისას

მ). გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემა

ნ). აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, ან შერჩევაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების ან დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოქმედება საჩივართან დაკავშირებით

2. აღკვეთის ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება(140-ე მუხლის მე-17 ნაწილი)

ა). შუამდგომლობის შეტანის უფლებამოსილება

ბ). შუამდგომლობის დასაშვებობის შემოწმება

გ). შუამდგომლობის დასაშვებობის შემოწმების ვადა

დ). დასაშვებად მიჩნეული შუამდგომლობის განხილვის ვადა და პროცედურები

ე). ინფორმირება შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა

ვ). საგამოძიებო კოლეგიის მიერ მიღებული შესაძლო გადაწყვეტილება და პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდგომი მოქმედება

3. შუამდგომლობის უკან გათხოვა და მისი შედეგები

4. აღკვეთის ღონისძიების შერჩევა მიმალული ბრალდებულის მიმართ. ძებნილი ბრალდებულის წარდგენა მოსამართლესთან მისი დაკავების შემდეგ

ა). შუამდგომლობის შეტანის წესი

ბ). ბრალდებულის მიმალულად მიჩნევა

გ). შუამდგომლობის სასამართლო განხილვა მიმალული ბრალდებულის მიმართ

დ). ძებნილი ბრალდებულის დაკავების შემდეგ მოსამართლესთან წარდგენის ვადა

ე). ბრალდებულის მოსამართლესთან წარდგენის შესახებ სასამართლოსათვის მიმართვა

ვ). გადაწყვეტილების მიღების წესი

5. დაპატიმრების ვადის გაგრძელება

ა). სასამართლოსათვის მიმართვის წესი

ბ). შუამდგომლობის განხილვის ვადა და წესი

გ). გადაწყვეტილების ფორმა და მისი აღსრულება

დ). დაპატიმრების ვადის გაგრძელების საფუძვლები

6. საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევა და ვადის გაგრძელება

ა). შუამდგომლობის შეტანის უფლებამოსილება, განსჯადი სასამართლო

ბ). შუამდგომლობის განხილვის წესი და გადაწყვეტილების ფორმა

გ). გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

დ). საექსტრადიციო პატიმრობის ვადა, ვადის გაგრძელების წესი

ე). საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევისას(ვადის გაგრძელებისას) გასათვალისწინებელი გარემოებები

II. იძულებით მოყვანა

ა). ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის იძულებით მოყვანა

ბ). დაზარალებულისა და მოწმის იძულებით მოყვანა

გ). შუამდგომლობის შეტანის უფლებამოსილება

დ). შუამდგომლობის განხილვის ვადა და წესი

ე). საკითხები, რომელიც უნდა გამოარკვიოს სასამართლომ იძულებით მოყვანის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას

ვ). სასამართლოს გადაწყვეტილება და მასში მისათითებელი საკითხები

ზ). მოყვანის შეზღუდვა

თ). მოყვანის აკრძალვა

III. პირის მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზის ჩასატარებლად

ა). სტაციონარში მოთავსების საფუძველი

ბ). პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის წესი

გ). შუამდგომლობის განხილვის ვადა და წესი, სასამართლოს გადაწყვეტილება

დ). პირის სტაციონარში მოთავსების თავდაპირველი ვადა და ვადის ათვლის წესი

ე). სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების წესი

ვ). პირი, რომლის მოთავსებაც შეიძლება სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზის ჩასატარებლად

IV. თანამდებობიდან(სამუშაოდან) გადაყენება

ა). შუამდგომლობის შეტანა, განსჯადი სასამართლო

ბ). სამუშაო, საიდანაც შეიძლება გადაყენებული იქნეს პირი და ამ პირის საპროცესო სტატუსი

გ). გარკვეულ პირთა თანამდებობიდან გადაყენების სპეციფიკა

დ). შუამდგომლობის განხილვის წესი

ე). თანამდებობიდან(სამუშაოდან) გადაყენების საფუძველი

ვ). ბრალდებულის თანამდებობიდან(სამუშაოდან) გადაყენების ვადა

V. ყადაღის დადება

ა). შუამდგომლობის შეტანა, განსჯადი სასამართლო

ბ). ყადაღის დადების საფუძველი

გ). ქონება, რომელსაც შეიძლება დაედოს ყადაღა

დ). შუამდგომლობის განხილვის წესი

ე). ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადა

ვ). გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით განხორციელებული ყადაღის დადების კანონიერების შემოწმება

ზ). ყადაღასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი

VI. სამედიცინო ექსპერტიზა ეჭვმიტანილის მიმართ

ა). ეჭვმიტანილის უფლება, მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება ან ექსპერტიზის ჩატარება

ბ). სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის უფლება

გ). საჩივრის განხილვის ვადა და წესი

VII. ჩხრეკა და ამოღება

1. გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ჩატარებული ჩხრეკის ან ამოღების კანონიერების განხილვა – შემდგომი, ანუ „შემოწმებითი“ სასამართლო კონტროლი

ა). გადაუდებელი აუცილებლობა

ბ). სასამართლოსათვის მიმართვის წესი და სასამართლოსათვის წარსადგენი მასალები

გ). განსჯადი სასამართლო

დ). შუამდგომლობის განხილვის ფორმა

ე). განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

ვ). განხილვა ზეპირი მოსმენით

ზ). შუამდგომლობის განხილვის ვადა და გადაწყვეტილების ფორმა

თ). მხარეთა ინფორმირება გადაწყვეტილების შესახებ და დადგენილების ასლების გადაცემა

ი). შუამდგომლობის განხილვისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი (შესაფასებელი) საკითხები და გარემოებები

2. ბრძანების გაცემა ჩხრეკის ან ამოღების ჩასატარებლად – ანუ „წინასწარი“ სასამართლო კონტროლი

ა). შუამდგომლობისა და შესაბამისი მასალების შეტანა სასამართლოში

ბ). განსჯადი სასამართლო

გ). შუამდგომლობის განხილვის ფორმა

დ). განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

ე). განხილვა ზეპირი მოსმენით

ვ). გადაწყვეტილების ფორმა

ზ). ჩხრეკასთან ან ამოღებასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

VIII. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა

ა). გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას

ბ). განსჯადი სასამართლო

გ). გასაჩივრების უფლებამოსილების მქონე პირები

დ). სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის ვადა

ე). საჩივრის შეტანა ვადის დარღვევით და სასამართლოს მოქმედება

ვ). საგამოძიებო კოლეგიის გადაწყვეტილება ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებაზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით და პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდგომი მოქმედება

ზ). სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის ვადა

თ). საჩივრის განხილვის ფორმა

ი). განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

კ). განხილვა ზეპირი მოსმენით, საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის(სასამართლო სხდომის) პროცედურა

ლ). განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილების მქონე პირები საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში

მ). ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა შეაფასოს სასამართლომ საჩივრის გადაწყვეტისას

ნ). სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა

ო). საქმის მასალების საგამოძიებო კოლეგიაში გადაგზავნამდე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შესამოწმებელი საკითხები

პ). საჩივრის შეტანა გასაჩივრების ვადის დარღვევით და სასამართლოს მოქმედება

ჟ). საჩივრის შეტანა დამცველის(წარმომადგენლის) მიერ დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობის გარეშე და სასამართლოს მოქმედება

IX. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე განაჩენის გადასინჯვა

ა). გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას

ბ). პროკურორთან და სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირები

გ). განსჯადი სასამართლო

დ). ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა შეაფასოს სასამართლომ საჩივრის გადაწყვეტისას

ე). საჩივრის განხილვისა და სხვა პროცედურები

X. სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურება

ა). საჩივრის სახეები

ბ). განსჯადი სასამართლო

გ). საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირები

დ). საჩივრის შეტანის ვადა

ე). ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა შეაფასოს სასამართლომ საჩივრების გადაწყვეტისას

ვ). საჩივრის განხილვისა და სხვა პროცედურები

XI. წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისას გამომძიებლის ან პროკურორის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ა). სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის უფლებამოსილება

ბ). საჩივრის შეტანის ვადა

გ). განსჯადი სასამართლო

დ). საჩივრის განხილვის ფორმა და ვადა

ე). განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილების მქონე პირები

ვ). სასამართლო სხდომის პროცედურა

ზ). საჩივრის განხილვისას სასამართლოს მიერ შესაფასებელი ძირითადი საკითხები

თ). გადაწყვეტილების ფორმა

ი). სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების წესი

XII. ნივთიერი მტკიცებულების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა

ა). სასამართლოსათვის შუმდგომლობით მიმართვის უფლება

ბ). განსჯადი სასამართლო

გ). შუამდგომლობის განხილვის ფორმა და ვადა

დ). განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილება

ე). სასამართლო სხდომის პროცედურა

ვ). გადაწყვეტილების ფორმა

ზ). სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების წესი

წ ი ნ ა ს ი ყ ვ ა ო ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლებს!

ძვირფასო კოლეგებო,

მიმდინარე სასამართლო რეფორმის ფარგლებში საქრთველოს ბევრ რეგიონში ამოქმედდა გერთიანებული რაიონული სასამართლოები, რომელთა უფლებამოსილება ვრცელდება რამდენიმე ადმინისტრაციული ერთეულის(რაიონის, დაბის) ტერიტორიაზე, რომლებშიც სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებენ მაგისტრატი მოსამართლეები.

მაგისტრატი სასამართლოების ამოქმდება წარმოადგენს მნიშვლელოვან ნაბიჯს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის პრაქტიკული რეალიზაციის საქმეში.

თქვენთვის ცნობილია, რომ 2007 წლის 5 თებერვალს შეიქმნა სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განზოგადებისა და საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის სახელმძღვანელო წინადადებების განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი კომისია, რომლის მიერაც რამდენიმე თვის წინ შემუშავებული იქნა სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ მუხლებთან მიმართებაში.

ამჟამად გთავაზობთ აღნიშნული კომისიის მიერ მომზადებულ პრაქტიკული რეკომენდაციებს სისხლის სამართლის პროცესის ძირითად საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლისათვის.

მოგეხსენებათ, რომ მართლმსჯულების ფუნქცია ძირითადად ნიშნავს მოსამართლის მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვასა და გადაწყვეტას, მაგრამ, ამასთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტებითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო ხელისუფლება ასევე ახორციელებს სასამართლო კონტროლს სისხლის სამართლის

საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოებისას პროკურორისა და გამომძიებლის მიერ განხორციელებულ მთელ რიგ მოქმედებებზე და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაკავშირებულია კონსტიტუციით დაცულ და გარანტირებულ უფლებათა შეზღუდვასთან. სისხლის სამართლის საპროცესსო კანონმდებლობის თანახმად, მაგისტრატი მოსამართლის ძირითადი ფუნქცია სწორედ ამდაგვარი სახის საკითხების განხილვა და გადაწყვეტაა.

წინამდებარე რეკომენდაციები განკუთვნიკლია არ მარტო მაგისტრატი მოსამართლეებისათვის, არამედ, იმ რაოინული(საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეებისათვისაც, რომელთა ტერიტორიაზეც არ არიან მაგისტრატი მოსამართლეები.

რეკომენდაციებში დეტალურად არის აღწერილი როგორც მოსამართლის შესაძლო მოქმედებები ამა თუ იმ სახის საჩივართან ან შუმდგომლობასთან დაკავშირებულ საპროსესო(პროცედურულ) საკითხებზე, ასევე, სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა (კანცელარიის, თანაშემწის, სხდომის მდივნის) ვალდებულებები და შესაძლო მოქმედებები საჩივრისა თუ შუამდგომლობის სასამართლო განხილვისათვის მომზადებისა და განხილვის საკითხებზე.

რეკომენდაციები არ შექმნილა მხოლოდ მოსამართლეებისათვის, იგი ცნობილი იქნება ასევე პროცესის მონაწილეებისათვისაც (ადვოკატი, პროკურორი და სხვა), რომლებსაც ამ რეკომენდაციების საფუძველზე წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ წყდება ესა თუ ის საპროცესო საკითხი კონკრეტულ საჩივართან თუ შუამდგომლობასთან მიმართებაში, რა ვალდებულებები აკისრიათ სასამართლოს აპარატის თანამშრომლებს და, პირიქით, რა ვალდებულებები აკისრიათ პროცესის მონაწილეებს.

წინამდებრე რეკომენდაციები დაეხმარება ასევე მოსამართლეს სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროსაც, რადგანაც იმ საკითხთა შეფასებისა და გადაწყვეტისას, წინასწარი გამოძიების წარმოებისას ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებისას დაცული იყო თუ არა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები მხარეთა მიერ, ან საჩივრისა თუ შუამდგომლობის გადაწყვეტისას სასამართლოს მიერ, მოსამართლე იხელმძღვანელებს ამ რეკომეენდაციებით.

ვფიქრობთ, რეკომენდაციები უზრუნველყოფს მთელ რიგ საპროცესო საკითხებზე ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს სწარაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

პატივისცემით,

კონსტანტინე კუბლაშვილი

I. აღკვეთის ღონისძიებანი

1. აღკვეთის ღონისძიების შერჩევა

ა). აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოში შუამდგომლობის შეტანის უფლებამოსილება აქვთ:

– პროკურორს, ან
– გამომძიებელს პროკურორის თანხმობით.

პროკურორის თანხმობა გამომძიებლის მიერ შედგენილ შუამდგომლობაზე უნდა იყოს წინასწარი და წერილობითი. პროკურორის მიერ თანხმობის გამოხატვის რაიმე სპეციალურ ფორმას კოდექსი არ ადგენს. ყველაზე მიღებული ფორმაა პროკურორის წერილობითი თანხმობა გამომძიებლის შუამდგომლობაზევე. პროკურორი უფლებამოსილია თვითონვე შეადგინოს შუამდგომლობა და მიმართოს სასამართლოს. ამ შემთხვევაში მას სხვა(ზემდგომი) პროკურორის თანხმობა არ სჭირდება. თუ პროკურორი უშუალოდ თვითონ, როგორც გამომძიებელი, იძიებს საქმეს, მას საერთო წესით სჭირდება პროკურორის თანხმობა. გამომძიებლის შუამდგომლობას შეიძლება დაეთანხმოს როგორც უშუალო საპროცესო ხელმძღვანელი, ასევე ნებისმიერი ზემდგომი პროკურორი. ყველა ამ პროკურორს გააჩნია სასამართლოსათვის უშუალოდ მიმართვის უფლებამოსილებაც.

ბ). აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განმხილველი სასამართლო

შუამდგომლობა განხილული უნდა იქნეს მაგისტრატი მოსამართლის მიერ გამოძიების ადგილის მიხედვით, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამისი(ანუ – გამოძიების ადგილის მიხედვით) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის მიერ.

მაგისტრატი მოსამართლის არყოფნაში იგულისხმება როგორც ის გარემოება, რომ მაგისტრატი მოსამართლე არ არის დანიშნული, ასევე მისი ფიზიკური არყოფნა(მაგ.: ავადმყოფობა, მივლინება, შვებულება და სხვა).

გამოძიების ადგილში იგულისხმება საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის განთავსების ადგილი.

გ). შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოში წარსადგენი მასალები

შუამდგომლობასთან ერთად სავალდებულოა სასამართლოში არა მთლიანად სისხლის სამართლის საქმის, არამედ შუამდგომლობის

„განხილვისათვის საჭირო მასალების ასლების“ წარდგენა, თუმცა, არ იქნება დარღვევა, თუ სასამართლოს წარდეგინება მთლიანად სისხლის სამართლის საქმე.

კოდექსი არ ადენს რაიმე ჩამონათვალს, თუ რა იგულისხმება სიტყვებში – „შუამდგომლობის განხილვისათვის საჭირო მასალების ასლები“. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს უნდა წარედგინოს ყველა იმ მტკიცებულებისა და სხვა დოკუმენტის ასლი, რომლებიც აუცილებელია შუამდგომლობის სრულყოფილი განხილვისა და გადაწყვეტისათვის. მაგალითად:

– აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვისას სასამართლოს, როგორც მინიმუმი, აუცილებლად უნდა წარედგინოს – დაკავების ოქმის ასლი(თუ პირი დაკავებულია, ან იყო), პირადი ჩხრეკის ოქმის ასლი, სხვა გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებათა ოქმების ასლები, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების ასლი, ყველა იმ წერილობითი მტკიცებულების ასლი, რაც საფუძვლად უდევს წარდგენილ ბრალდებას(ანუ რაც მითითებულია ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში), შესაძლებლობის შემთხვევაში სასამართლოს უნდა წარედგინოს დოკუმენტები ბრალდებულის ნასამართლობისა და 153-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებათა შესახებ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით კიდევ რა დოკუმენტების წარდგენაა აუცილებელი შუამდგომლობის განხილვისათვის, ანუ მოთხოვნის დასაბუთებისათვის, წყვეტს გამომძიებელი და პროკურორი. თუმცა, შუამდგომლობის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია შუამდგომლობის წარმომდგენს მისცეს წინადადება წარმოადგინოს შუამდგომლობის დასაბუთებისათვის საჭირო სხვა მტკიცებულებები და დოკუმენტები.

გამომძიებელი და პროკურორი არ არიან უფლებამოსილი წარუდგინონ სასამართლოს, ხოლო მოსმართლე არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ოპერატიული მონაცემების წარდგენა.

დ). სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფორმა

წინასწარი გამოძიების ეტაპზე სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებებთან დაკავშირებით სასამართლოს გამოაქვს ბრძანება, ან დადგენილება.

ბრძანება გაიცემა:

ა). საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში;

ბ). საპროცესო იძულების ღონისძიების ვადის გაგრძელების შემთხვევაში;

გ). საპროცესო იძულების ღონისძიების ერთი სახის მეორეთი შეცვლის შემთხვევაში;

დ). საგამოძიებო, ან ოპერატიულ-სამძებრო მოქედების ჩატარების ნებართვის მიცემის შემთხვევაში.

დადგენილება გამოიტანება:

ა). საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შემთხვევაში;
ბ). საპროცესო იძულების ღონისძიების ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შემთხვევაში;
გ). ადრე გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიების გაუქმების შემთხვევაში;
დ). ადრე გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიების გაუქმებაზე ან შეცვლაზე უარის თქმის შემთხვევაში;
ე). გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, მოსამართლის ბრძანების გარეშე, ჩატარებული(დაწყებული) საგამოძიებო, ან ოპერატიულ-სამძებრო მოქედების კანონიერების შემოწმების საკითხზე.

ე). საპროცესო იძულების ღონისძიებებთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილების მქონე პირები და მათი ინფორმირება სასამართლო სხდომის ადგილისა და დროის შესახებ

განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ:
– პროკურორს,
– გამომძიებელს,
– პირს, რომლის მიმართაც განიხილება საპროცესო იძულების ღონისძიების საკითხი, მის დამცველებსა და კანონიერ წარმომადგენლებს(თუ ისინი მონაწილეობენ საქმეში).
– განხილვაში შეიძლება მონაწილეობდეს ასევე დაზარალებული, თუმცა ის ამ შემთხვევაში არ სარგებლობს დამოუკიდებელი მოთხოვნის დაყენების უფლებით.

სასამართლომ უნდა მიიღოს ყველა ზომა განხილვაში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა პირის ინფორმირებისათვის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ. კანონი არ ადგენს ამ შემთხვევისათვის რაიმე სპეციალურ, საგამონაკლისო წესს მხარეთა გაფრთხილებისათვის. შუამდგომლობის განხილვისათვის დაწესებული მცირე დროის, კონკრეტულ შემთხვევაში გამოსაძახებელ პირთა ადგილსამყოფელის და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლომ უნდა გამოიყენოს ყველაზე სწრაფი და ეფექტური ფორმა მხარის ინფორმირებისათვის. მაგ.: დეპეშა ჩაბარების შეტყობინებით, სასამართლო კურიერის მიერ უწყების ჩაბარება იმის გათვალისწინებით, რომ პირს ჰქონდეს საკმარისი დრო სასამართლოში გამოცხადებისათვის, ტელეფონის საშუალებით შეტყობინება, რის

შესახებაც შედგება ოქმი(ცნობა) და დაერთვება სასამართლო წარმოების მასალებს, სხვა ტექნიკური საშუალებებით შეტყობინება.

პროცესის სხვა მონაწილეთა გაფრთხილება და დაკავებული (დაპატიმრებული) პირის სასამართლოში წარმოდგენისათვის ზომების მიღება, თუ ამას ობიექტური მიზეზების გამო თვითონ ვერ უზრუნველყოფს, სასამართლომ შეიძლება დაავალოს გამომძიებელს, პროკურორს.

ვ). სასამართლო სხდომის პროცედურა

შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ განხილული უნდა იქნეს ზეპირი მოსმენით შუამდგომლობისა და მასალების სასამართლოში შეტანიდან არა უგვიანეს 24 საათისა (ზოგიერთ სპეციფიკურ გარემოებებთანაა დაკავშირებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ(სსსკ-ის 140ე მუხლის მე-17 ნაწილი) შუამდგომლობები, რაზედაც ცალკე ვისაუბრებთ). ამ ვადაში უნდა დამთავრდეს შუამდგომლობის განხილვა გადაწყვეტილების გამოცხადების ჩათვლით.

სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებასთან დაკავშირებული შუამდგომლობების განხილვის მცირე დროის გათვალისწინებით დაწესებულია ზოგადი პრინციპი, რომ მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას, არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას, ამასთან, მხარეთა და თვით შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობაც არ აძლევს უფლებას სასამართლოს უარი თქვას შუამდგომლობის არსებით განხილვასა და გადაწყვეტაზე, თუ ადგილი არ აქვს შუამდგომლობის უკან გათხოვას. შუამდგომლობის განხილვის გადადება შეიძლება არ გამოიწვიოს, მაგალითად, იძულებითი დაცვის გარემოებების არსებობის შემთხვევაში ბრალდებულის დამცველის გამოუცხადებლობამ, თუ დამცველი შუამდგომლობის განხილვის შესახებ დროულად იყო ინფორმირებული. შუამდგომლობის განხილვას არ აბრკოლებს თუნდაც საპატიო მიზეზით(მაგ.: ავადმყოფობის გამო) გამოუცხადებლობა. ანუ, შუამდგომლობა შეიძლება განხილული იქნეს მხოლოდ იმ პირთა მონაწილეობით, ვინც გამოცხადდება დანიშნულ დროს, ან საერთოდ ვინმეს მონაწილეობის გარეშეც, თუ მონაწილეობის უფლების მქონე არცერთი პირი არ გამოცხადდება.

ზემოთაღნიშნული რა თქმა უნდა არ ართმევს უფლებას მხარეებს – იშუამდგომლონ, ხოლო მოსამართლეს – გადადოს შუამდგომლობის განხილვა, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შუამდგომლობის განხილვის დამთავრება უნდა მოხდეს 24-საათიან ვადაში. სასამართლო მხოლოდ იმდენი ხნით(ფაქტობრივად, რამდენიმე საათით, შეიძლება რამდენიმე წუთითაც) არის უფლებამოსილი გადადოს შუამდგომლობის განხილვა, რომ არ დაარღვიოს ზემოთაღნიშნული ვადა.

ზ). სხდომის სტანდარტული პროცედურები:

საპროცესო იძულების ღონისძიების საკითხის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო სხდომის პროცედურა დადგენილია სსსკ-ის 140-ე მუხლით და ამ დროს არ გამოიყენება(სრული მოცულობით არ გამოიყენება) არსებითი სასამართლო განხილვისათვის დადგენილი პროცედურები. სხდომის პროცედურა ასეთია:

– მოსამართლე ხსნის სასამართლო სხდომას და აცხადებს განსახილველ საკითხს;

– მოსამართლე თვითონ(და არა სხდომის მდივანი) ასახელებს პროცესის მონაწილეებს;

– თუ მონაწილეობს თარჯიმანი, მოსამართლე ასახელებს მის ვინაობას, არკვევს თარჯიმნის აცილების საკითხს და აფრთხილებს თარჯიმანს კანონით დადგენილი წესით;

– მოსამართლე აცხადებს სასამართლო შემადგენლობას – მოსამართლესა და სხდომის მდივანს – და არკვევს არის თუ არა აცილებები;

– შუამდგომლობის შემომტანი პირი(ან შუამდგომლობის შემომტანი ორგანოს წარმომადგენელი) აყალიბებს შუამდგომლობის მოთხოვნას და ასაბუთებს მას;

– ამ პირს შეკითხვებს უსვამს ჯერ მოსამართლე, შემდეგ, მოსამართლის ნებართვით, პროცესის სხვა მონაწილენი;

– შემდეგ თავისი მოსაზრების ჩამოყალიბებისათვის სიტყვა ეძლევა შუამდგომლობის შემომტანი მხარის სხვა წარმომადგენელს(მაგ.: თუ განიხილება პროკურორის შუამდგომლობა, სიტყვა ეძლევა დაზარალებულს(თუ მონაწილეობს), ხოლო თუ განიხილება ბრალდებულის დამცველის შუამდგომლობა, სიტყვა ეძლევა ბრალდებულს და ა. შ.);

– თუ სასამართლო სხდომაში მონაწილეობენ დაკავებული, დაპატიმრებული, სხვა პირი, რომლის ინტერესებსაც ეხება შუამდგომლობა, აგრეთვე მათი დამცველები და წარმომადგენლები, პროკურორი, მათ ეძლევათ შესაძლებლობა სასამართლოს მისცენ განმარტებანი განსახილველ შუამდგომლობასთან დაკავშირებით და ჩამოაყალიბონ თავიანთი საწინააღმდეგო მოსაზრებანი;

– ამით შუამდგომლობის სასამართლო განხილვა მთავრდება(კანონი არ ითვალისწინებს რეპლიკისა და საბოლოო სიტყვის უფლებას) და მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას ადგილზე თათბირით, ან სათათბირო ოთახში.

თ). სხდომის შესაძლო არასტანდარტული პროცედურები

– კანონი მოსამართლეს უფლებას ანიჭებს გამოიძახოს და დაკითხოს პირი, რომლის ჩვენებაც(ცნობები) ასაბუთებს შუამდგომლობას. პირის გამოძახება და დაკითხვა მოსამართლის, და

არა მხარის, უფლებაა. რა თქმა უნდა მხარეს შეუძლია იშუამდგომლოს ამა თუ იმ პირის დაკითხვის შესახებ, თუმცა საკითხი, რამდენად აუცილებელია ამ პირის დაკითხვა და არის თუ არა იგი განსახილველ შუამდგომლობასთან კავშირში, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

– სასამართლო სხდომაზე მხარეებს შეუძლიათ სასამართლოს წარუდგინონ თავიანთი შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებები. ეს უფლება არ შეიძლება განმარტებული იქნეს ისე, რომ სასამართლოსათვის დოკუმენტებისა და მტკიცებულებების წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ იმ მხარეს, რომლის წინასწარ წარდგენილი წერილობითი შუამდგომლობაც განიხილება. სასამართლო სხდომაზე მეორე მხარე აყალიბებს რა თავის აზრს განსახილველ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, ამით ფაქტობრივად აყალიბებს თავის მოთხოვნას(პოზიციას მეორე მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით) და მას უფლება აქვს თავისი პოზიციის(მოთხოვნის) დასასაბუთებლად სასამართლოს ასევე წარუდგინოს დოკუმენტები და მტკიცებულებები.

ი). გადაწყვეტილების მიღების წესი

სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობის განხილვის პროცესში(სხდომაზე) დაყენებული ყველა შუამდგომლობა გადაწყვიტოს ადგილზე თათბირით, თუმცა სასამართლო უფლებამოსილია ნებისმიერი საკითხის გადასაწყვეტად გავიდეს სათათბირო ოთახში, თუ ეს აუცილებლად მიაჩნია. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე ვალდებულია სათათბირო ოთახში დაწეროს გადაწყვეტილება, ხოლო საკითხის ადგილზე თათბირით გადაწყვეტის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება შეიტანება სხდომის ოქმში, რაც ნიშნავს იმას, რომ გადაწყვეტილების ადგილზე თათბირით მიღების შემთხვევაში მოსამართლე თვითონ არ წერს გადაწყვეტილებას, იგი აცხადებს გადაწყვეტილებას(საუბრობს) და ამ გადაწყვეტილებას სხდომის მდივანი აფიქსირებს სხდომის ოქმში.

შუამდგომლობის გადაწყვეტის შემდეგ სასამართლო აცხადებს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს.

კ). მოსამართლის გადაწვეტილებაში სავალდებულოდ მისათითებელი საკითხები

ბრძანებაში, დადგენილებაში მითითებული უნდა იყოს, როგორც მინიმუმი:

– გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
– სასამართლო, მოსამართლის გვარი, სახელი;
– მონაწილეთა სახელი გვარი, საპროცესო მდგომარეობა;

– უწყების დასახელება, რომელიც აწარმოებს გამოძიებას და სისხლის სამართლის საქმის ნომერი;

– დაკავების თარიღი და საათი(თუ პირი დაკავებული იყო);

– ბრალდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემები და წაყენებული ბრალდების ფორმულირება(მითითება სსკ-ის რომელი მუხლით(ნაწილით, ქვეპუნქტით) გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში ედება ბრალი), ბრალდების მოკლე აღწერა(თუ იხილება არა აღკვეთის ღონისძიების, არამედ სხვა საპროცესო იძულების ღონისძიების საკითხი, ასევე მოკლედ უნდა აღიწეროს განსახილველი საკითხის არსი);

– მხარეთა მოთხოვნა და მათი დასაბუთების მოკლე აღწერა;

–სასამართლოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა (მთლიანად, ან ნაწილობრივ) თუ უარყოფის შესახებ, შესაბამისი საფუძვლების დასაბუთების) მითითებით(ანუ, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი).

– განკარგულება სისხლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების (ან გამოყენებაზე უარის თქმის) შესახებ(ანუ სარეზოლუციო ნაწილი), სადაც ზუსტად უნდა იყოს მითითებული საპროცესო იძულების ღონისძიების არსი და ის, თუ ვისზე ვრცელდება(ანუ მითითებული უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი საკმაო მონაცემები);

– ბრძანების მოქმედების ვადა(თუ ბრძანება რაიმე ვადით გაიცემა);

– გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიების მოქმედების ვადა;

– გადაწყვეტილების შემსრულებელი თანამდებობის პირი(პირები) ან ორგანო (ორგანოები);

– გასაჩივრების წესი და ვადა(იგულისხმება იმის მითითებაც, თუ არ საჩივრდება);

– მოსამართლის ხელმოწერა და სასამართლოს ბეჭედი.

ლ). საკითხები და გარემოებები, რომლებიც ყველა შემთხვევაში უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების შერჩევასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვისას

მოსამართლის ბრძანებაში ან დადგენილებაში ყველა შემთხვევაში უნდა იყოს პასუხი გაცემული შემდეგ საკითხებზე:

– დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები დაკავებისას,

– დაცულია თუ არა კონსტიტუციითა და საპროცესო კოდექსით დადგენილი ვადები და პროცედურები ბრალდების წარდგენისას,

– დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები მტკიცებულებათა მოპოვებისას და დამაგრებისას,

– აღკვეთის ღონისძიების გამოყენების რა ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლები არსებობს,

– აღკვეთის ღონისძიების გამოყენების რა ფორმალური (საპროცესო) საფუძვლები არსებობს,

– რომელი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაა აუცილებელი და რატომ ვერ უზრუნველყოფს უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება 151-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნების შესრულებას, ან, პირიქით, რატომ არის საკმარისი ამ მიზნების შესასრულებლად უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, ვიდრე, ვთქვათ, ითხოვს ბრალდების მხარე.

ბრძანების(დადგენილების) გაცემისას(გამოტანისას) პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე კანონისმიერადაა ვალდებული შეამოწმოს დაცულია თუ არა ზემოთაღნიშნული მოთხოვნები გამოძიების მიერ, ანუ ამ საკითხთა შეფასება სასამართლოს ევალება ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, მხარეები ხდიან თუ არა სადაოდ ამა თუ იმ საკითხს.

თუ მხარე სადავოდ არ ხდის დაკავებისას, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისას, ან მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას კანონის მოთხოვნათა დაცვას(ანუ, მიიჩნევს, რომ არ დარღვეულა კანონის მოთხოვნები), სასამართლო მაინც ვალდებულია გადაწყვეტილებაში შეაფასოს დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები დაკავებისას და მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას, თუმცა, თუ სასამართლოც დარწმუნდება, რომ დარღვევა დაშვებული არ ყოფილა, გადაწყვეტილებაში მითითება ამის შესახებ შეიძლება იყოს შედარებით ტრაფარეტული,

მაგ.: დაცვის მხარე სადავოდ არ ხდის და სასამართლოსაც დადგენილად მიააჩნია, რომ ბრალდებულის დაკავებისას, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისას, მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევები, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, დაშვებული არ ყოფილა.

თუ მხარე სადავოდ ხდის დაკავების, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის, ან მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრების კანონიერებას, მოსამართლემ სხდომაზე უნდა გამოარკვიოს და მითითებული უნდა იქნეს სხდომის ოქმში, თუ რაზე მითითებით, რის საფუძველზე მიიჩნევს მხარე, რომ დარღვეულია კანონი, რა მოთხოვნა იქნა დარღვეული და რაში გამოიხატა იგი.

ასეთ შემთხვევაში მოსამართლის გადაწყვეტილებაში მხოლოდ ტრაფარეტული მითითება, რომ კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა, საკმარისი არ არის, ამასთან, აუცილებელი არ არის დასაბუთება იყოს

ძალზე ვრცელი, მთავარია, რომ იყოს ამომწურავი და სრულყოფილად სცემდეს პასუხს მხარის მოთხოვნას,

მაგ.: დამცველი მიიჩნევს, რომ დარღვეულია კანონის მოთხოვნები ჩხრეკის ჩატარებისას იმით, რომ პირადი ჩხრეკის ოქმის შესაბამისად გამომძიებელმა უარი უთხრა გასაჩხრეკს დამსწრეთა მოწვევაზე, ასეთ შემთხვევაში საკმარისია სასამართლომ ბრძანებაში მიუთითოს:

სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, ჩხრეკის მწარმოებელი პირი უფლებამოსილია უარი უთხრას გასაჩხრეკ პირს დამსწრეთა მოწვევაზე, თუ არსებობს მტკიცებულებათა დაზიანება-განადგურების და ა. შ საფრთხე, რაც ამ შემთხვევაში სახეზე იყო და გამომძიებლის უარი დამსწრეთა მოწვევაზე კანონიერია.

მოსამართლის ბრძანების სამოტივაციო ნაწილში დასაბუთებული უნდა იყოს როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი (მტკიცებულებითი, იხ.: სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-11 ნაწილი) საფუძვლების, ასევე ფორმალური(საპროცესო, იხ.: სსსკ-ის 140-ე მუხლის მე-11 ნაწილი) საფუძვლების არსებობა. მაგალითად, ნიმუშის სახით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

სასამართლომ განიხილა რა პროკურორის თანხმობით გამომძიებლის მიერ შემოტანილი შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ გირაოს შერჩევის შესახებ, ასევე, სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ პირადი თავდებობის გამოყენების შესახებ, მიაჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული უნდა იქნეს გირაო შემდეგ გარემოებათა გამო:

ბრალდებულის დაკავებისას, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემისას, მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრებისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევების დაშვების ფაქტი, რაც გამოიწვევდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმას, საქმის მასალებით(შესაბამისი საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების ოქმებით) არ დასტურდება.

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში მითითებული მტკიცებულებების(შეიძლება ჩამოითვალოს, მაგ. ჩხრეკის, ამოცნობის ოქმები და ა. შ.) და სხვა მასალების შესაბამისად სახეზეა საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლები(საკმაო მტკიცებულებები) ბრალდებით გათვალისწინებული ქმედებისათვის ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის.

ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების სიმძიმის(ვთქვათ, მიეკუთვნება მძიმე დამნაშაულთა კატეგორიას, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვს წლამდე ვადით), ხასიათის(ვთქვათ, ჯგუფურობა, ბრალდებულის როლი ქმედების ჩადენაში და ა. შ) ბრალდებულის პიროვნების(ვთქვათ, ნასამართლობა), ასევე, საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით(ჩამოითვალოს), სასამართლოს მიაჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ მითითებული გარემოებები(მაგ.: დადებითი დახასიათება, ოჯახური მდგომარეობა და ა. შ.) საფუძვლად ვერ დაედება ბრალდებულის მიმართ პირადი თავდებობის გამოყენებას, რადგანაც ვერ იქნება უზრუნველყოფილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები, რაც გათვალისწინებულია სსსკ-ის 151-ე მუხლით და გამოძიების ამ ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების მიზნების უზრუნველყოფა შესაძლებელია ბრალდებულის მიმართ გირაოს გამოყენებით.

იგივე თანმიმდევრობით და შესაბამის დასაბუთებაზე მითითებით უნდა ჩამოაყალიბოს მოსამართლემ დადგენილება, ან ბრძანება, როდესაც საერთოდ არ იყენებს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებას (არცერთ სახეს), ან არ აკმაყოფილებს შუამდგომლობას და იყენებს სხვა აღკვეთის ღონისძიებას, ანუ, მოსამართლემ უნდა დაასაბუთოს რომელი ფაქტობრივი თუ საპროცესო გარემოება(თუ ორივე ერთად) გამორიცხავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, ან რომელი ფაქტობრივი თუ საპროცესო გარემოება(თუ ორივე ერთად) ასაბუთებს, ვთქვათ, გირაოს გამოყენების საკმარისობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების უზრუნველსაყოფად.

მ). გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემა

სასამართლოს გადაწყვეტილება დგება მინიმუმ ექვს ეგზემლარად და იგი გადაეცემა:

– ერთი ეგზემპლარი ბრალდებულს ან დამცველს(კანონი საკმარისად თვლის ან ბრალდებულისათვის, ან მისი დამცველისათვის ერთი ეგზემპლარის გადაცემას და არ აწესებს ვალდებულებას ორივესათვის ცალ-ცალკე გადაცემისა, მაგრამ არ კრძალავს ორივესათვის გადაცემასაც);

– ერთი ეგზემპლარი გადაეცემა პროკურორს;

– ერთი ეგზემპლარი ეგზავნება საპროცესო იძულების ღონისძიების აღმასრულებელ ორგანოს(დაპატიმრებულთა განთავსების ადგილის ადმინისრტაციას, საექსპერტო დაწესებულებას და ა. შ.);

– ორი ეგზემპლარი გადაეცემა შუამდგომლობის წარმომდგენ ორგანოს(ერთი უნდა დაერთოს საქმეს);

– ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლოში;

გადაწყვეტილების გადაცემაში იგულისხმება როგორც გადაწყვეტილების უშუალოდ გადაცემა, ვთქვათ, მოსამართლის

თანაშემწის მიერ, ასევე ამ გადაწყვეტილების გაგზავნა უფლებამოსილი პირებისათვის(ორგანოებისთვის) კანონით გათვალისწინებული რომელიმე წესით. თუ რაიმე ობიექტური მიზეზი არ ხდის ამას შეუძლებელს, მხარეებს გადაწყვეტილების ასლი უნდა ჩაბარდეთ გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე.

გადაწყვეტილების უშუალოდ გადაცემის შესახებ ყველა პირს ჩაერთმევა ხელწერილი(ან დგება ოქმი, ცნობა) გადაცემის დროის მითითებით და ერთვის სასამართლო წარმოების მასალებს. თუ მხარეს გადაწყვეტილება უშუალოდ არ ჩაბარებია, სასამართლო წარმოების მასალებს ერთვის აგრეთვე იმ გზავნილის(მიმართვის და ა. შ.) ასლი, რომლითაც მას გაეგზავნა გადაწყვეტილების ასლი.

ნ). აღკვეთის ღონისძიების შერჩევის, ან შერჩევაზე უარის თქმის შესახებ ბრძანების ან დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოქმედება საჩივართან დაკავშირებით

სსსკ-ის 243-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის ბრძანება ან დადგენილება აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს შესაბამისი საპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

საჩივარი შეიტანება არა პირდაპირ საგამოძიებო კოლეგიაში (შესაბამის სააპელაციო სასამართლოში), არამედ, ბრძანების (დადგენილების) გამცემ(გამომტან) პირველი ინსტანციის სასამართლოში.

საჩივრის შეტანის ვადაა 48 საათი ბრძანების(დადგენილების) გაცემიდან(გამოტანიდან) და არა ბრძანების(დადგენილების) ასლის გასაჩივრების უფლებამოსილების მქონე პირისათვის გადაცემიდან.

საჩივრის სასამართლოში შესვლის შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლო მოქმედებს შემდეგი პროცედურების დაცვით:

სსსკ-ის 243-ე მუხლის თანახმად, საჩივარი და შესაბამისი მასალები დაუყოვნებლივ უნდა გადაიგზავნოს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. კოდექსი არ განსაზღვრავს რა დრო იგულისხმება სიტყვაში „დაუყოვნებლივ“. ყველა შემთხვევაში ეს უნდა იყოს მასალების გადასაგზავნად მომზადებისათვის(მაგ.: სხდომის ოქმის შედგენა, საჩივართან დაკავშირებული სასამართლო წარმოების მასალების ერთ წარმოებად აკინძვა და სხვა) გონივრული ვადა. საგამოძიებო კოლეგიაში უნდა გადაიგზავნოს როგორც საჩივარი და საჩივართან დაკავშირებული სასამართლო წარმოების მასალები (მხარის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეტანილი შუამდგომლობა, სასამართლო სხდომის ოქმი, მოსამართლის გადაწყვეტილება და სხვა), ასევე, შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები(ან საქმის მასალები, თუ ბრალდების

მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი იყო საქმე და არა ასლები).

საგამოძიებო კოლეგგის მიერ საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტისათვის დადგენილი შეზღუდული ვადის, ასევე, თვით საკითხის სპეციფიკურობის(საქმე ეხება ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შეზღუდვას), გათვალისწინებით, საჩივარი და მასალები, როგორც წესი, არ უნდა გადაიგზავნოს ფოსტის მეშვეობბით, უმჯობესია ეს განხორციელდეს სასამართლოს კურიერის მეშვეობით.

243-ე მუხლის 1[1] ნაწილის თანახმად, ბრალდებულის დამცველს საგამოძიებო კოლეგიისათვის საჩივრით მიმართვის უფლება აქვს მხლოდ ბრალდებულის(დაცვის ქვეშ მყოფი პირის) თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანია, ან აქვს ისეთი ფსიქიკური ან ფიზიკური ნაკლი, რაც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას. თანხმობის გარეშე შეტანილი საჩივარი დაუშვებელია ამ საფუძვლით – დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობის არარსებობის გამო. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დაუშვებლად ცნობის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეს და არა გადაწყვეტილების გამომტან პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს, ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლო არ არის უფლებამოსილი არ მიიღოს დამცველის საჩივარი, რომელსაც არ აქვს ბრალდებულის თანხმობა, ასეთი საჩივარი მაინც უნდა იქნეს მიღებული და შესაბამის მასალებთან ერთად საერთო წესით გადაიგზავნოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომელიც გადაწყვეტს საჩივრის დასაშვებობის საკითხს, ანუ მხოლოდ დამცველის მიერ ბრალდებულის თანხმობის გარეშე საჩივრის შეტანის შემთხვევაში პირველი ინსტანციის საასამართლო(არც მოსამართლე, არც თანაშემწე და არც კანცელარიის თანამშრომელი) არ იღებენ რაიმე გადაწყვეტილებას და არ ახორციელებან რაიმე დამატებით მოქმედებას (მაგ.: საჩივრის ავტორს არ უნდა გაეგზავნოს წერილი(მიმართვა), რომ საჩივარი შეტანილია ბრალდებულის თანხმობის გარეშე), არამედ, ასეთი საჩივარიც საერთო წესით იგზავნება საგამოძიებო კოლეგიაში.

2. აღკვეთის ღონისძიების შეცვლა ან გაუქმება(140-ე მუხლის მე-17 ნაწილი)

ა). შუამდგომლობის შეტანის უფლებამოსილება

შერჩეული აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის ან აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვთ:

ა). პროკურორს,
ბ). ბრალდებულს,
დ). ბრალდებულის დამცველს ბრალდებულის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანია, ან აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც შეუძლებელს ხდის თანხმობის მიღებას.

შერჩეული აღკვეთის ღონისძიების უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მომართვის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს.

ბ). შუამდგომლობის დასაშვებობის შემოწმება

დასაშვებობის სტადია უნდა გაიაროს ბრალდებულის მიმართ უკვე შერჩეული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ წინასწარი გამოძიების ეტაპზე სასამართლოში შეტანილმა ნებისმიერმა შუამდგომლობამ, მიუხედავად იმისა ვის მიერ არის შეტანილი – პროკურორის, ბრალდებულისა თუ ბრალდებულის დამცველის მიერ.

შუამდგომლობის დასაშვებობის შემოწმებისას გამოსაკვლევი სკითხები და გარემოებები:

ვარიანტი ა): შუამდგომლობა დასაბუთებულია მხოლოდ ახალ გარემოებებზე მითითებით, რაც უცნობი იყო აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას და შუამდგომლობას თან არ ერთვის მტკიცებულებანი (მასალები) ამ(ახალ) გარემოებათა შესახებ – ასეთ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობაში მხოლოდ მითითებულია ახალ გარემოებათა შესახებ და შუამდგომლობას თან არ ერთვის მტკიცებულებანი(მასალები) ამ ახალ გარემოებათა შესახებ, შუამდგომლობა დაუშვებელია ამ საფუძვლით. სასამართლო არ არის ვალდებული მხარეს მისცეს დრო მტკიცებულებათა(მასალების) წარმოსადგენად;

ვარიანტი ბ): შუამდგომლობა დასაბუთებულია მხოლოდ ახალ გარემოებებზე მითითებით და თან ერთვის მტკიცებულებანი(მასალები) ამ ახალ გარემოებათა შესახებ – ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს რამდენად არსებითია ეს ახალი გარემოებები და ახდენენ თუ არა ეს გარემოებები გავლენას შერჩეული აღკვეთის ღონისძიების მართლზომიერებაზე, ან ეს ახალი გარემოებები ხომ არ არის არსებითად(შინაარსობრივად) იგივე გარემოებები, რაც ცნობილი და გამოკვლეული იყო აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას;

ვარიანტი გ): შუამდგომლობა დასაბუთებულია მხოლოდ იმავე გარემოებებზე მითითებით, რაც ცნობილი იყო სასამართლოსათვის აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, ანუ, ფაქტობრივად, შუამდგომლობა წარმოადგენს „საჩივარს“ ადრე გაცემულ ბრძანებაზე – ასეთ შემთხვევაში სასამართლომ შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი უნდა შეაფასოს იმ კუთხით, გამოკვლეულ იქნა თუ არა არსებითად იგივე საკითხები აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას ან სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას განხილულ იქნა თუ არა არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე;

ვარიანტი დ): შუამდგომლობა დასაბუთებულია როგორც ახალ გარემოებებზე მითითებით, რაც უცნობი იყო აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, თუმცა, შუამდგომლობას თან არ ერთვის მტკიცებულებანი (მასალები) ამ(ახალ) გარემოებათა შესახებ, ასევე, შუამდგომლობა დასაბუთებულია იმავე გარემოებებზე მითითებითაც, რაც ცნობილი იყო სასამართლოსათვის აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას. – ასეთ შემთხვევაში სასამართლომ შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი უნდა შეაფასოს ორ ნაწილად, კერძოდ: 1). ახალ გარემოებებთან მიმართებაში შუამდგომლობა დაუშვებელია, რადგან არ ერთვის შესაბამისი მტკიცებულებები(მასალები) და 2). „ძველ“ გარემოებებთან მიმართებში სასამართლომ უნდა შეაფასოს გამოკვლეულ იქნა თუ არა არსებითად იგივე საკითხები აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას ან სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას განხილულ იქნა თუ არა არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე;

ვარიანტი ე): შუამდგომლობა დასაბუთებულია როგორც ახალ გარემოებებზე მითითებით, რაც უცნობი იყო აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას და შუამდგომლობას თან ერთვის მტკიცებულებანი (მასალები) ამ(ახალ) გარემოებათა შესახებ, ასევე, შუამდგომლობა დასაბუთებულია იმავე გარემოებებზე მითითებითაც, რაც ცნობილი იყო სასამართლოსათვის აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას – ასეთ

შემთხვევაში სასამართლომ შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი ასევე უნდა შეაფასოს ორ ნაწილად, კერძოდ: 1). სასამართლომ უნდა შეაფასოს ცალკე აღებული რამდენად არსებითია ეს ახალი გარემოებები და ახდენენ თუ არა ეს გარემოებები გავლენას შერჩეული აღკვეთის ღონისძიების მართლზომიერებაზე, ან ეს ახალი გარემოებები ხომ არ არის არსებითად(შინაარსობრივად) იგივე გარემოებები, რაც ცნობილი და გამოკვლეული იყო აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, და 2). შესაძლოა ეს „ახალი" გარემოებები ცალკე აღებული არ ქმნიან დასაშვებობის საფუძველს, მაგრამ სასამართლომ უნდა შეაფასოს ისინი „ძველ" გარემოებებთან ერთობლიობაში ზეგავლენას ხომ არ ახდენენ პირისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მართლზომიერებაზე;

ვარიანტი ვ): შუამდგომლობა შემოტანილია ბრალდებულის დამცველის მიერ ბრალდებულის თანხმობის გარეშე, როდესაც სავალდებულოა ბრალდებულის თანხმობა(ანუ ბრალდებული არ არის არასრულწლოვანი, ან არ აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც შეუძლებელს ხდის თანხმობის მიღებას) – ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობა დაუშვებელია ამ საფუძვლით, სასამართლო არ არის ვალდებული დამცველს მისცეს დრო თანხმობის წარმოსადგენად. ბრალდებულის თანხმობა შეიძლება გამოიხატოს შუამდგომლობაზე ხელმოწერით, ცალკე წარმოდგენილი განცხადებით და ა. შ.

გ). შუამდგომლობის დასაშვებობის შემოწმების ვადა

შუამდგომლობის დასაშვებობის თაობაზე სასამართლოს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დადგენილება, ანუ გამოაქვს დადგენილება ან შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ, ან შუამდგომლობის დასაშვებად ცნობისა და ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ.

შუამდგომლობის დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობის საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს 24 საათში, შემდეგი სპეციფიკის გათვალისწინებით:

– თუ შუამდგომლობა შეაქვს პროკურორს, იგი ვალდებულია საერთო წესით შუამდგომლობას დაურთოს შესაბამისი მასალები (მასალების ასლები) და ასეთ შემთხვევაში 24 საათიანი ვადის ათვლა იწყება სასამართლოში შუამდგომლობისა და მასალების შეტანიდან,

– თუ შუამდგომლობა შეაქვს პროკურორს, მაგრამ არ ურთავს მასალების ასლებს, სასამართლო გამოითხოვს საქმეს(მასალებს) და ასეთ შემთხვევაში 24 საათიანი ვადის ათვლა იწყება მასალების(ასლების) სასამართლოში წარდგენიდან,

– თუ შუამდგომლობა შეაქვს ბრალდებულს ან დამცველს და შუამდგომლობას არ ერთვის, ან, სასამართლოს აზრით,

არასაკმარისად ერთვის საჭირო მასალების ასლები, სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა შესაბამისი საგამოძიებო უწყებისგან რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს საჭირო მასალები(ასლები) და 24 საათიანი ვადის დინება დაიწყება ამ მასალების სასამართლოში წარდგენიდან. სასამართლომ ამ შუამდგომლობის განხილვისას უნდა იხელმძღვანელოს აგრეთვე იმ მასალების ასლებითაც, რომლებიც წარდგენილი იყო სასამართლოში ამ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას(რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ არ შეცვლილა გამოძიების ადგილი და შუამდგომლობა შეტანილია იმავე სასამართლოში, რომელმაც ადრე გასცა ბრძანება პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ).

დ). დასაშვებად მიჩნეული შუამდგომლობის განხილვის ვადა და პროცედურები

დასაშვებად მიჩნეული შუამდგომლობა ყველა შემთხვევაში განხილული უნდა იქნეს ზეპირი მოსმენით(არ შეიძლება ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა), არა უგვიანეს შუამდგომლობის დასაშვებად მიჩნევიდან, ანუ, დასაშვებად მიჩნევის შესახებ დადგენილების გამოტანიდან 24 საათისა. იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს შეფასება, დაიცვა თუ არა მოსამართლემ აღნიშნული ვადა, იმის გათვალისწინებით, რომ დასაშვებობის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე და არ დგება ოქმი, დასაშვებობის შესახებ დადგენილებაზე მითითებული უნდა იყოს არა მარტო დადგენილების გამოტანის თარიღი(დღე და თვე), არამედ, ასევე მითითებული უნდა იყოს დადგენილების გამოტანის საათიც.

დასაშვებად მიჩნეული შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვისას(მხარეთა გამოძახება, სხდომის განაწესი და სხვა) გამოიყენება შუამდგომლობის განხილვისათვის 140-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესები(იხ.: ზემოთ).

ასევე, საერთო წესით გადაეცემათ ან ეგზავნებათ უფლებამოსილ პირებს დაშვებულად ცნობილი შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვის შემდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების(დადგენილების, ან ბრძანების) ასლი. ასეთი სახის გადაწყვეტილება საჩივრდება საერთო წესით – გაცემიდან(გამოტანიდან) 48 საათში შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

ე). ინფორმირება შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა

სასამართლო ვალდებულია შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე აცნობოს შუამდგომლობის შემტან მხარეს გადაწყვეტილების შესახებ, ეს უნდა

განხორციელდეს ტელეფონის, ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, უნდა შედგეს შესაბამისი ცნობა, ოქმი, რომელშიც სხვა გარემოებებთან ერთად მითითებული უნდა იყოს დროც(საათი) და დაერთოს სასამართლო წარმოების მასალებს. შესაძლებელია მხარეს იმავე დღეს უშუალოდ ჩაბარდეს გადაწყვეტილების ასლი, თუ ისინი გამოცხადდებიან სასამართლოში(ანუ მხარე დაბარებული(მოწვეული) უნდა იქნეს სასამართლოში გადაწყვეტილების ასლის გადასაცემად), ან გაეგზავნოს მათ ასლები კანონით დადგენილი რაიმე ფორმით. გადაწყვეტილების უშუალოდ გადაცემის შესახებ ყველა პირს ჩამოერთმევა ხელწერილი(დგება ოქმი, ცნობა) გადაცემის დროის მითითებით და ერთვის სასამართლო წარმოების მასალებს. თუ მხარეს გადაწყვეტილება უშუალოდ არ ჩაბარებია, სასამართლო წარმოების მასალებს ერთვის აგრეთვე იმ გზავნილის(მიმართვის და ა. შ) ასლი, რომლითაც მას გაეგზავნა გადაწყვეტილების ასლი.

შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დადგენილება საჩივრდება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. კანონი არ ადგენს რაიმე განსხვავებულ ვადას ამ სახის დადგენილების გასაჩივრებისათვის, ანუ იგი საჩივრდება საერთო წესით – არა უგვიანეს გამოტანიდან 48 საათისა, მაგრამ, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ გადაწყვეტილება მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე, ანუ მხარემ არ იცის გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, სწორედ ამიტომაც აუცილებელია მხარეს დადგენილების გამოტანისთანავე ტელეფონით ან სხვა საშუალებით ეცნობოს დადგენილების გამოტანის შესახებ.

ვ). საგამოძიებო კოლეგიის მიერ მიღებული შესაძლო გადაწყვეტილება და პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდგომი მოქმედება

შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებაზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა). სათანადო საფუძვლების არსებობისას ძალაში დატოვოს პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ, ან

ბ). სათანადო საფუძვლების არსებობისას გააუქმოს პირველი ინსტანციის სასაამართლოს დადგენილება შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და შუამდგომლობა დასაშვებობისა და არსებითი განხილვის საკითხის გადასაწყვეტად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში პირველი ინსტანციის საასამართლო ფაქტობრივად ვალდებულია დასაშვებად სცნოს

შუამდგომლობა, განიხილოს ზეპირი მოსმენით და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება. შუამდგომლობის უკან დაბრუნებისას საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე არ არის უფლებამოსილი მითითება მისცეს პირველი ინსტანციის სასამართლოს შუამდგომლობის არსებითად გადაწყვეტის საკითხზე.

3. შუამდგომლობის უკან გათხოვა და მისი შედეგები

შუამდგომლობის შემტანს უფლება აქვს უკან გაითხოვოს შუამდგომლობა. იმავე საფუძვლით შუამდგომლობის განმეორებით შეტანა არ შეიძლება.

შუამდგომლობის უკან გათხოვა დასაშვებია ნებისმიერ სტადიაზე მისი შეტანიდან მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

შუამდგომლობის უკან გათხოვის პროცედურა შემდეგნაირია:

– თუ შუამდგომლობა შეტანილია პროკურორის მიერ, მისი უკან გათხოვის უფლება აქვს პროკურორს;

– თუ შუამდგომლობა შეტანილია გამომძიებლის მიერ პროკურორის თანხმობით, მისი უკან გათხოვის უფლება აქვს პროკურორს, ან გამომძიებელს პროკურორის თანხმობით;

– თუ შუამდგომლობა შეტანილია ბრალდებულის მიერ, მისი უკან გათხოვის უფლება აქვს ბრალდებულს, აგრეთვე მის დამცველს ბრალდებულის თანხმობით;

– თუ შუამდგომლობა შეტანილია ბრალდებულის დამცველის მიერ (როდესაც არ არის სავალდებულო ბრალდებულის თანხმობა), მისი უკან გათხოვის უფლება აქვს ბრალდებულს, აგრეთვე მის დამცველს;

– თუ შუამდგომლობა შეტანილია ბრალდებულის დამცველის მიერ ბრალდებულის თანხმობით(როდესაც სავალდებულოა ბრალდებულის თანხმობა), მისი უკან გათხოვის უფლება აქვს ბრალდებულს, აგრეთვე მის დამცველს ბრალდებულის თანხმობით.

კანონი არ აწესებს რაიმე პირობებს შუამდგომლობის უკან გათხოვისათვის. ეს მხარის უპირობო უფლებაა და არ საჭიროებს დასაბუთებას. შუამდგომლობის უკან გათხოვა შუამდგომლობის განხილვის დაწყებამდე უნდა იყოს წერილობითი, ანუ სასამართლოში წერილობით უნდა შევიდეს მოთხოვნა. მას შეიძლება ერქვას შუამდგომლობა, ან განცხადება შუამდგომლობის უკან გათხოვის (განუხილველად დატოვების) შესახებ, პოზიცია შეიძლება დაფიქსირებული იყოს წერილობითი მიმართვის სახითაც.

შუამდგომლობის უკან გათხოვა შესაძლებელია შუამდგომლობის არსებითი განხილვის დროსაც. ასეთ შემთხვევაში უკან გათხოვის წერილობითი ფორმა არ არის სავალდებულო და მხარეთა პოზიციები ფიქსირდება სხდომის ოქმში.

შუამდგომლობის უკან გათხოვა გამორიცხავს მისი განმეორებით შეტანის შესაძლებლობას იმავე საფუძვლებით, ანუ დასაშვებია თუნდაც იმავე სახის, იმავე მოთხოვნით შუამდგომლობის შეტანა, მაგრამ საფუძვლები უნდა იყოს განსხვავებული. საფუძვლებში იგულისხმება როგორც ფაქტობრივი (მტკიცებულებითი), ისე ფორმალური(საპროცესო) გარემოებები. იმავე შუამდგომლობის(ანუ იმავე მოთხოვნით) განმეორებით შეტანა დაუშვებელია მხოლოდ იმავე

საფუძვლებით, თუმცა იმავე საფუძვლებზე მითითება არ არის აკრძალული ახალ(თუნდაც ერთ) საფუძველთან ერთად.

4. აღკვეთის ღონისძიების შერჩევა მიმალული ბრალდებულის მიმართ. ძებნილი ბრალდებულის წარდგენა მოსამართლესთან მისი დაკავების შემდეგ

ა). შუამდგომლობის შეტანის წესი

თუ შეკრებილია საკმაო მტკიცებულებები და გამოტანილია დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მაგრამ დადგენილი იქნა, რომ პირი მიიმალა, რაც შეუძლებელს ხდის მისთვის დადგენილების გაცნობას(ბრალდების წაყენებას), პროკურორი, ან გამომძიებელი იძახებს ბრალდებულის დამცველს (ბრალდებულის მიმალვა წარმოადგენს იძულებითი დაცვის ერთ-ერთ საფუძველს) და გადასცემს მას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების ასლს, რის შემდეგაც პროკურორი, ან გამომძიებელი პროკურორის თანხმობით უფლებამოსილი არიან შუამდგომლობით მიმართონ მაგისტრატ მოსამართლეს(ან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს) გამოძიების ადგილის მიხედვით მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების შერჩევის შესახებ.

ბ). ბრალდებულის მიმალულად მიჩნევა

პირის, როგორც ბრალდებულის, მიმალულად მიჩნევისათვის აუცილებელი არ არის ამ პირმა აუცილებლად იცოდეს, რომ მიცემულია პასუხისგემაში ბრალდებულის სახით. მთავარია, რომ გამოძიებამ მიიღოს ყველა ზომა მისი ადგილსამყოფელის დასადგენად და მისთვის ბრალდების წასაყენებლად(შესაბამისი დოკუმენტები – უწყება, ოქმი, შეტყობინება, დაკითხვის ოქმები ბრალდებულის ადგილსამყოფელის შესახებ და ა. შ. უნდა ერთვოდეს საქმეს(მასალებს). პირის მიმალვა ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ იგი მიემალა გამოძიებას, ან სასამართლოს მას შემდეგ, რაც მას აცნობეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, არამედ იმასაც, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მისი ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა, ანუ იგი მიმალულია და ამ ეტაპზე შეუძლებელია მისთვის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების გაცნობა (ბრალდების წაყენება).

გ). შუამდგომლობის სასამართლო განხილვა მიმალული ბრალდებულის მიმართ

მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების შერჩევის შესახებ შუამდგომლობის განხილვა ხდება სსსკ-ის 140-ე

მუხლით დადგენილი საერთო წესების დაცვით. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან ბრალდებულის მიმალვაში ყოფნა იძულებითი დაცვის გარემოებაა, მიმალული ბრალდებულის დამცველს უნდა ეცნობოს ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების შერჩევის შესახებ შუამდგომლობის განხილვის დრო და ადგილი, ამასთან, დამცველის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას.

დ). ძებნილი ბრალდებულის დაკავების შემდეგ მოსამართლესთან წარდგენის ვადა

ძებნილი ბრალდებულის დაკავების(ანუ დაპატიმრების შესახებ ბრძანების აღსრულების) შემთხვევაში მისი გამოძიების ადგილას მიყვანიდან 48 საათში ბრალდებული უნდა წარედგინოს მაგისტრატ მოსამართლეს(ან შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს) გამოძიების ადგილის მიხედვით.

გამოძიების ადგილი არის საგამოძიებო ორგანოს ადმინისტრაციული შენობის ადგილმდებარეობის ადგილი.

სტიქიური უბედურების, ან სხვა დაუძლეველი ძალის არსებობისას, აგრეთვე ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებისას, რაც შეუძლებელს ხდის ბრალდებულის წარდგენას მოსამართლესთან, 48-საათიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 15 დღისა.

ძებნილი ბრალდებულის უცხოეთში დაკავების შემთხვევაში მოსამართლესთან წარდგენის 48–საათიანი ვადის ათვლა იწყება საქართველოში გამოძიების ადგილზე მისი მიყვანიდან.

ე). ბრალდებულის მოსამართლესთან წარდგენის შესახებ სასამართლოსათვის მიმართვა

პატიმრობაშერჩეული ძებნილი ბრალდებულის დაკავების (დაპატიმრების შესახებ ბრძანების აღსრულების) შემთხვევაში მისი მოსამართლისათვის წარდგენისას სასამართლოში არ შეიტანება შუამდგომლობა, სასამართლოს მიემართება წერილობით ბრალდებულის წარდგენის თაობაზე. 48-საათიან ვადაში უნდა მოხდეს არა მარტო ბრალდებულის წარდგენა მოსამართლესთან, არამედ ამავე ვადაში უნდა დამთავრდეს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვაც.

ვ). გადაწყვეტილების მიღების წესი

ასეთ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს საკითხის განხილვის სამი შესაძლო ვარიანტი:

ა). როდესაც პროკურორი და გამომძიებელი ითხოვენ დაპატიმრების შესახებ ადრე გაცემული ბრძანების ძალაში დატოვებას

და ბრალდებული და დამცველი ეთანხმებიან მას(არ აყენებენ შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ). ასეთ შემთხვევაში მოსამართლე არ იღებს ახალ გადაწყვეტილებას, არ ქმნის რაიმე ცალკე საპროცესო დოკუმენტს, დგება მხოლოდ სასამართლო სხდომის ოქმი, რომელშიც მიეთითება დაპატიმრების შესახებ ადრე გაცემული ბრძანების ძალაში დატოვების შესახებ და განმარტებული იქნება გასაჩივრების წესი და ვადა;

ბ). როდესაც პროკურორი და გამომძიებელი ითხოვენ დაპატიმრების შესახებ ადრე გაცემული ბრძანების ძალაში დატოვებას, ხოლო ბრალდებული და დამცველი უკანონოდ და დაუსასაბუთებლად მიიჩნევენ ბრძანებას, ანუ ითხოვენ აღკვეთის ღონისძიების გაუქმებას(რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიების შერჩევაზე უარის თქმას). ასეთ შემთხვევაშიც მოსამართლე არ იღებს ახალ გადაწყვეტილებას, არ ქმნის რაიმე ცალკე საპროცესო დოკუმენტს, დგება მხოლოდ სასამართლო სხდომის ოქმი, რომელშიც მიეთითება დაპატიმრების შესახებ ადრე გაცემული ბრძანების ძალაში დატოვების შესახებ და განმარტებული იქნება გასაჩივრების წესი და ვადა;

გ). როდესაც პროკურორი და გამომძიებელი ითხოვენ დაპატიმრების შესახებ ადრე გაცემული ბრძანების ძალაში დატოვებას, ხოლო ბრალდებული და დამცველი შუამდგომლობენ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ, ან პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ. ასეთ შემთხვევებში სასამართლო სხდომა ტარდება სსსკ-ის 140-ე მუხლით დადგენილი საერთო წესების დაცვით და მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას დადგენილების ან ბრძანების ფორმით(იმის მიხედვით, აკმაყოფილებს თუ არა შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ), რომელშიც მიეთითება გასაჩივრების წესი და ვადა.

5. დაპატიმრების ვადის გაგრძელება

ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების თავდაპირველი შერჩევა ხდება ორი თვით, უფრო ნაკლები ვადით დაპატიმრების შერჩევის შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს.

დაპატიმრების ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორჯერ თითო–თითო თვით. არ შეიძლება დაპატიმრების ვადის გაგრძელება პირდაპირ ორიდან ოთხ თვემდე, იგი შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით ორჯერ(სულ ოთხ თვემდე).

ა). სასამართლოსათვის მიმართვის წესი

გამომძიებელი წარდგინებით მიმართავს პროკურორს ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების ვადის გაგრძელების საკითხზე, რის საფუძველზეც დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ პროკურორს. პროკურორი ვალდებულია გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს(შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს) მიმართოს შუამდგომლობით დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ ბრალდებულის დაპატიმრების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს ხუთი დღისა. შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი სისხლის სამართლის საქმე, ან შესაბამისი მასალების ასლები. შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილი ვადა, გარემოებები, რომლებმაც გამოიწვია ის, რომ არსებულ ვადაში ვერ დამთავრდა გამოძიება, ასევე მითითებული უნდა იყოს, თუ რა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებია ჩასატარებელი.

ბ). შუამდგომლობის განხილვის ვადა და წესი

შუამდგომლობა განხილული უნდა იქნეს ზეპირი მოსმენით სასამართლოში შეტანიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა, მაგრამ ბრალდებულის პატიმრობის დარჩენილი ვადის ამოწურვამდე.

შუამდგომლობა განიხილება სსსკ-ის 140-ე მუხლით დადგენილი წესების დაცვით.

გ). გადაწყვეტილების ფორმა და მისი აღსრულება

შუამდგომლობის განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა). ბრძანება დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ;

ბ). ბრძანება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების სხვა(უფრო მსუბუქი) აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ;

გ). დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმების(რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის) შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულდება. სასამართლო ვალდებულია იმავე დღეს შეატყობინოს საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. შეტყობინებაში იგულისხმება როგორც გადაწყვეტილების მიღების დღესვე ასლის გადაცემა საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციისათვის, ასევე(თუ ეს ტექნიკური მიზეზებით შეუძლებელია), ტელეფონით, ან რაიმე სხვა ტექნიკური საშუალებით შეტყობინება, რის შესახებაც შედგება ოქმი(ცნობა) და დაერთვება სასამართლო წარმოების მასალებს.

დ). დაპატიმრების ვადის გაგრძელების საფუძვლები

დაპატიმრების ვადის გაგრძელება დასაშვებია, თუ არსებობს სსსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები ან/და;

ა) თუ პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ ბრალდებულმა დაარღვია მისთვის შერჩეული ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება;

ბ) თუ ბრალდებულს უფრო მძიმე ბრალდება წარედგინა;

გ) საქმის სირთულის გამო.

საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას პროკურორის შუამდგომლობით შესაძლებელია ბრალდებულის პატიმრობის ვადის გაგრძელება კიდევ 60 დღემდე. სასამართლო უფლებამოსილია დაპატიმრების ვადა გააგრძელოს არა მთლიანად 60 დღით, არამედ არა უმეტეს სამოც დღემდე(20, 30, 40 დღით და ა. შ.) საქმის გარემოებათა და შესასრულებელ მოქმედებათა მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით.

შეიძლება პროკურორმა გამომძიებლის მიერ მისთვის გადაცემულ საქმეზე არ შეადგინოს საბრალდებო დასკვნა და წერილობითი მითითებებით დაუბრუნოს გამომძიებელს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. ასეთ შემთხვევაში, თუ იწურება და აუცილებელია ბრალდებულის მიმართ დაპატიმრების ვადის გაგრძელება, პროკურორი საერთო წესით შუამდგომლობით მომართავს სასამართლოს დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ. თუ დარჩენილი ვადა საკმარისია დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად, პროკურორი უფლებამოსილია არ მიმართოს სასამართლოს დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ. ასევე, პროკურორი უფლებამოსილია საქმის დამატებითი გამოძიების

ჩასატარებლად დაბრუნებისთანავე არ მომართოს სასამართლოს დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ. თუ დარჩენილ ვადაში ვერ მოესწრო დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და აუცილებელი გახდა დაპატიმრების ვადის გაგრძელება, პროკურორი უფლებამოსილია საერთო წესით შუამდგომლობით მომართოს სასამართლოს დაპატიმრების ვადის გაგრძელების შესახებ.

6. საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევა და ვადის გაგრძელება

ექსტრადიციას დაქვემდებარებულ, უცხო სახელმწიფოს მიერ ძებნილი პირის თავისუფლების შეზღუდვაზე(მის მიმართ დაპატიმრების გამოყენებაზე) ვრცელდება საქართველოს სასამართლო ხელისუფლების კონტროლი.

ა). შუამდგომლობის შეტანის უფლებამოსილება, განსჯადი სასამართლო

საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის დაკავებისთანავე უნდა ეცნობოს შესაბამისი(ანუ დაკავების ადგილის მიხედვით) რაიონის პროკურორს, რომელიც 48 საათში შუამდგომლობით მიმართავს დაკავების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს(შესაბამისი რაიონული(საქალაქო) სასამართლოს მოსმართლეს) პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით.

ბ). შუამდგომლობის განხილვის წესი და გადაწყვეტილების ფორმა

პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევის შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განსახილველად მომზადება და განხილვა წარმოებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული საერთო წესით.

სასამართლო გასცემს ბრძანებას საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევის შესახებ, ან გამოიტანს დადგენილებას საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევაზე უარის თქმის შესახებ.

გ). გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევის, ან შერჩევაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საექსტრადიციო პროცედურებს დაქვემდებარებული პირის, მისი დამცველისა და პროკურორის მიერ მათთვის გადაწყვეტილების გადაცემიდან(ასლის მიღებიდან) 15 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომელიც საჩივარს განიხილავს 10 დღის ვადაში.

დ). საექსტრადიციო პატიმრობის ვადა, ვადის გაგრძელების წესი

საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებული, უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საექსტრადიციო პატიმრობის მაქსიმალური ვადაა შვიდი თვე.

პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის თავდაპირველი შერჩევა ხდება სამი თვის ვადით, რომელიც ექსტრადიციის განხორციელებისათვის გამოწვეული საჭიროების გამო შეიძლება გაგრძელდეს მაგისტრატი მოსამართლის(შესაბამისი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის) მიერ 2 თვით, სამიდან ხუთ თვემდე, ხოლო სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის მიერ კიდევ 2 თვით, ხუთიდან შვიდ თვემდე.

ვადის გაგრძელება ხდება პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სსსკ-ის 162-163-ე მუხლებით დადგენილი პროცედურების დაცვით.

ე). საექსტრადიციო პატიმრობის შერჩევისას(ვადის გაგრძელებისას) გასათვალისწინებელი გარემოებები

სასამართლოებმა საექსტრადაციო პატიმრობასთან დაკავშირებული შუამდგომლობებისა და საჩივრების განხილვისას უნდა შეაფასონ, არსებობს თუ არა პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების(ვადის გაგრძელების, ზოგადად პატიმრობის) საფუძვლები, რაც დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით(რა თქმა უნდა, საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით), ასევე, მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ საექსტრადიციო პროცედურებს დაქვემდებარებული ბრალდებულის მიმართ პატიმრობის შერჩევის საკითხზე ვრცელდება ორმაგი სასამართლო კონტროლი – ერთის მხრივ, ამ პირის მიმართ პატიმრობის შერჩევის კანონიერების საკითხი განხილულია ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ (მას პატიმრობა შერჩეული აქვს ამ სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ) და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს აკისრია გარკვეული ვალდებულებები და, მეორეს მხრივ, ამ პირის პატიმრობის(ვადის გაგრძელების) კანონიერების საკითხს იხილავს დაკავების განმახორციელებელი სახელმწიფოს – საქართველოს – სასამართლო.

II. იძულებით მოყვანა

ა). ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის იძულებით მოყვანა

საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოების ეტაპზე ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის იძულებით მოყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროცესის მწარმოებელი ორგანო – გამომძიებელი და პროკურორი – მოტივირებული დადგენილებით. ანუ, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის იძულებით მოყვანის შესახებ შუამდგომლობა სასამართლოში არ შეიტანება და, თუნდაც შეტანილი იქნეს, განხილვას არ ექვემდებარება. თუ არსებობს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის იძულებით მოყვანის საფუძველი და აუცილებლობა, ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არა სასამართლომ, არამედ, გამომძიებელმა ან პროკურორმა.

ბ). დაზარალებულისა და მოწმის იძულებით მოყვანა

საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოების ეტაპზე დაზარალებულისა და მოწმის იძულებით მოყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მაგისტრატი მოსამართლე(ან შესაბამისი რაიონული(საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე) გამოძიების ადგილის მიხედვით.

გ). შუამდგომლობის შეტანის უფლებამოსილება

მოწმის ან დაზარალებულის იძულებით მოყვანის შესახებ სასმართლოსათვის შუამდგომლობით მომართვის უფლება აქვთ:

– პროკურორს,
– გამომძიებელს პროკურორის თანხმობით.

დ). შუამდგომლობის განხილვის ვადა და წესი

შუამდგომლობა განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს არა უგვიანეს სასაამართლო'ში შეტანიდან 24 საათისა.

სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, ანუ, მხარეთა გამოძახებისა და ზეპირი განხილვის ჩატარების გარეშე. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენითაც სსსკ-ის 140-ე მუხლით დადგენილი პროცედურებით.

ე). საკითხები, რომელიც უნდა გამოარკვიოს სასამართლომ იძულებით მოყვანის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას

სასამართლო არკვევს ორ ძირითად საკითხს:

– რა სტატუსი აქვს პირს სისხლის სამართლის საქმეში(მოწმე, დაზარალებული), და
– გამოძახებული იყო თუ არა პირი პროცესის მწარმოებელ ორგანოში კანონით დადგენილი რომელიმე წესით(უწყებით, ხელწერილის ჩამორთმევით და ა. შ.).

არც გამომძიებელი და პროკურორი და არც სასამართლო არ არის ვალდებული გამოარკვიოს გამოუცხადებლობის მიზეზი(საპატიოა თუ არასაპატიო), რადგანაც იძულებით მოყვენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს თვით გამოუცხადებლობის ფაქტი, მიუხედავად გამოუცხადებლობის მიზეზისა.

ვ). სასამართლოს გადაწყვეტილება და მასში მისათითებელი საკითხები

შუამდგომლობასთან დაკავშირებით სასამართლოს გამოაქვს:

– ბრძანება შუამდგომლობის დაკმაყოფილების(ანუ პირის იძულებით მოყვანის) შესახებ,
– დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე(ანუ პირის იძულებით მოყვანაზე) უარის თქმის შესახებ.

მოყვანის შესახებ ბრძანებაში აღნიშნული უნდა იყოს:
– ბრძანების გაცემის თარიღი და ადგილი,
– სასამართლოს დასახელება,
– მოსამართლის სახელი, გვარი,
– საგამოძიებო უწყების დასახელება, სისხლის სამართლის საქმის ნომერი,
– მოსაყვანი პირის სახელი, გვარი, საპროცესო მდგომარეობა, საცხოვრებელი ან სამსახურის ადგილი,
– როდის, სად უნდა მიიყვანონ პირი,
– ვის(რომელ ორგანოს) ევალება მოყვანის განხორციელება.

ზ). მოყვანის შეზღუდვა

როგორც წესი, არ შეიძლება 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა, ფეხმძიმე ქალთა და მძიმე ავადმყოფთა მოყვანა, რაც გულისხმობს იმას, რომ განსაკუთრებულ, საგამონაკლისო შემთხვევებში მაინც დასაშვებია ამ პირთა მოყვანა.

თ). მოყვანის აკრძალვა

დაუშვებელია მოყვანა:

– საქართველოს პრეზიდენტის,
– საქართველოს პარლამენტის წევრის,
– საქართველოს სახალხო დამცველის,
– მოსამართლის,
– დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირისა და მისი ოჯახის წევრების.

III. პირის მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზის ჩასატარებლად

ა). სტაციონარში მოთავსების საფუძველი

სტაციონარში პირი შეიძლება მოთავსდეს ორი სახის ექსპერტიზის ჩასატარებლად:

ა). სასამართლო–სამედიცინო;

ბ). სასამართლო–ფსიქიატრიული.

ბ). პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ სასამართლოსათვის მიმართვის წესი

პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება აქვთ:

ა) პროკურორს,

ბ). გამომძიებელს პროკურორის თანხმობით.

გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით ჯერ დანიშნული უნდა იყოს ექსპერტიზა(გამოტანილი უნდა იყოს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილება) და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვა.

შუამდგომლობა და შესაბამისი მასალების ასლები, რაც საჭიროა შუამდგომლობის განხილვისა და გადაწყვეტისათვის, შეტანილი უნდა იქნეს მაგისტრატ მოსამართლესთან(ან შესაბამისი რაიონული(საქალაქო) სასამართლოს მოსამართლესთან) გამოძიების ადგილის მიხედვით.

გ). შუამდგომლობის განხილვის ვადა და წესი, სასამართლოს გადაწყვეტილება

შუამდგომლობა განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს ზეპირი მოსმენით სასამართლო სხდომაზე არა უგვიანეს 24 საათისა. სხდომა ტარდება სსსკ-ის 140-ე მუხლით დადგენილი პროცედურით, იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რომ პირი, რომლის სტაციონარში მოთავსების საკითხიც განიხილება, სხდომაში მონაწილეობს იმ შემთხვევაში, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, ამასთან, სახეზეა იძულებითი დაცვის გარემოება და პირს სავალდებულო წესით უნდა იცავდეს დამცველი, თუმცა, დამცველის გამოუცხადებლობა, თუ იგი ინფორმირებულია სხდომის ადგილისა და დროის შესახებ, განხილვას არ აბრკოლებს.

განხილვის შედეგად მოსამართლეს გამოაქვს:

ა). ბრძანება შუამდგომლობის დაკმაყოფილების, ანუ პირის სტაციონარში მოთავსების, შესახებ, ან

ბ). დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, ანუ, სტაციონარში მოთავსებაზე, უარის თქმის შესახებ.

დ). პირის სტაციონარში მოთავსების თავდაპირველი ვადა და ვადის ათვლის წესი

პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების თავდაპირველი ვადაა არა უმეტეს 20 დღე. თუ რა ვადით უნდა მოთავსდეს პირი სტაციონარში(5, 10 ან 20 დღით) განსაზღვრავს მოსამართლე, ამასთან, თუ არ არსებობს რაიმე საფუძველი იმისათვის, რომ ექსპერტიზა დამთავრდება 20 დღეზე ადრე(მაგ: ექსპერტის წინასწარი ჩვენება, რომ ექსპერტიზა დამთავრდება 10 დღეში), პირის სტაციონარში თავდაპირველი მოთავსების ვადა, როგორც წესი, უნდა განისაზღვროს 20 დღით.

სტაციონარში მოთავსების 20 დღიანი ვადის ათვლა იწყება არა ბრძანების გაცემის, არამედ პირის სტაციონარში მოთავსების (გადაყვანის) დღიდან, ამიტომ მოსამართლემ ბრძანებაში ან საერთოდ არ უნდა მიუთითოს სტაციონარში მოთავსების ვადის ათვლის დაწყებისა და დამთავრების თარიღები, ან უნდა მიუთითოს, რომ სტაციონარში მოთავსების ვადის ათვლა დაიწყოს პირის სტაციონარში მოთავსების(გადაყვანის) დღიდან.

ე). სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების წესი

ვადის გაგრძელების წესი შემდეგნაირია:

1). ვადის გაგრძელება ბრალდების მხარის შუამდგომლობით:

პროკურორის, ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის შუამდგომლობის საფუძველზე პირის სტაციონარში მოთავსების ზღვრული ვადაა 30 დღე. ბრალდების მხარის შუამდგომლობით ამ ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

პირის სტაციონარში მოთავსების(ყოფნის) 20 დღიანი ვადის გასვლამდე ექსპერტმა(ექიმმა, საექსპერტო დაწესებულებამ) უნდა გასცეს შუალედური დასკვნა იმის შესახებ, რომ 20 დღიან ვადაში ვერ მთავრდება ექსპერტიზა და საჭიროა დამატებითი დრო. ამის საფუძველზე პროკურორი, ან გამომძიებელი პროკურორის თანხმობით შუამდგომლობით მიმართავს შესაბამის მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით, რომელიც პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ შუამდგომლობის განხილვისათვის დადგენილი წესით განიხილავს შუამდგომლობას და გასცემს ბრძანებას პირის სტაციონარში მოთავსების ვადის 10 დღით(და არა 10 დღემდე) გაგრძელების შესახებ.

პირის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოში შეტანა, მისი განხილვა და გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს სტაციონარში მოთავსების (ყოფნის) ადრე განსაზღვრული(მაგ: 20 დღიანი) ვადის გასვლამდე (ამოწურვამდე).

2). ვადის გაგრძელება დაცვის მხარის შუამდგომლობით:

კოდექსი უშვებს შესაძლებლობას ბრალდებულის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელებისა დაცვის მხარის შუამდგომლობით 30 დღეს პლუს ორი თვით(ანუ, მაქსიმუმ 3 თვით) შემდეგი პირობების დაცვით:

თუ ბრალდების მხარის შუამდგომლობით სტაციონარში მოთავსების ზღვრული ვადის(20+10 დღე) ამოწურვამდე კვლავ ვერ დამთავრდა ექსპერტიზა, 30 დღიანი ვადის გასვლამდე ექსპერტმა(ექიმმა, საექსპერტო დაწესებულებამ) უნდა გასცეს კიდევ ერთი შუალედური დასკვნა იმის შესახებ, რომ 30 დღიან ვადაში ვერ მთავრდება ექსპერტიზა და საჭიროა დამატებითი დრო, ამის საფუძველზე დაცვის მხარე უფლებამოსილია შუამდგომლობით მიმართოს შესაბამის მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით, რომელიც პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ შუამდგომლობის განხილვისათვის დადგენილი წესით განიხილავს შუამდგომლობას და გასცემს ბრძანებას პირის სტაციონარში მოთავსების ვადის კიდევ ორი თვით გაგრძელების შესახებ.

როგორც ბრალდების, ასევე, დაცვის მხარის მიერ ბრალდებულის სტაციონარში მოთავსების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის სასამართლოში შეტანის წინაპირობაა ის, რომ არ დამთავრებულა ექსპერტიზა. ექსპერტიზის დამთვრებაში იგულისხმება არა აუცილებლად დასკვნის გაცემა(ანუ, დასკვნის შედგენა, წერილობით ჩამოყალიბება), არამედ, დასკვნის გაცემისათვის (შედგენისათვის) აუცილებელი საექსპერტო გამოკვლევებისა და დაკვირვებების ჩატარება(დამთავრება), რის შემდეგაც პირი შეიძლება გამოყვანილი იქნეს სტაციონარიდან და დასკვნა შედგეს გარკვეული დროის(რამდენიმე დღის) შემდეგ. დაცვის მხარის შუამდგომლობის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მხოლოდ სტაციონარში მოთავსების(ყოფნის) ადრე განსაზღვრული(20+10 დღიანი) ვადის გასვლამდე(ამოწურვამდე).

ვ). პირი, რომლის მოთავსებაც შეიძლება სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარული ექსპერტიზის ჩასატარებლად

სტაციონარში შეიძლება მოთავსდეს:

1. ბრალდებული,

2). დაზარალებული ან მოწმე შემდეგ შემთხვევებში:

ა). ვენერიული დაავადების დასადგენად;

ბ). ინფექციური დაავადების დასადგენად;

გ). თუ ეჭვმიტანილი, ან ბრალდებული ითხოვს იმ დაზარალებულის ჩვენების შემოწმებას, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში.

წინასწარი გამოძიების ეტაპზე დაზარალებულის ან მოწმის სტაციონარში მოთავსების შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მომართვის უფლება აქვს მხოლოდ პროკურორს, ან გამომძიებელს პროკურორის თანხმობით. დაცვის მხარე ასეთი შუამდგომლობით წინასწარი გამოძიების ეტაპზე პირდაპირ სასამართლოს ვერ მიმართავს, მათ უნდა მიმართონ გამომძიებელს, ან პროკურორს, რომელთა უარიც სასამართლოში არ საჩივრდება.

IV. თანამდებობიდან(სამუშაოდან) გადაყენება

ა). შუამდგომლობის შეტანა, განსჯადი სასამართლო

პირის თანამდებობიდან(სამუშაოდან) გადაყენების შესახებ შუამდგომლობა პროკურორის, ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის მიერ შეტანილი უნდა იქნეს მაგისტრატ მოსამართლესთან, ან შესაბამისი რაიონული(საქალაქო) სასამართლოს მოსამართლესთან გამოძიების ადგილის მიხედვით სსსკ-ის 140-ე მუხლით დადგენილი წესით.

ბ). სამუშაო, საიდანაც შეიძლება გადაყენებული იქნეს პირი და ამ პირის საპროცესო სტატუსი

პირი შეიძლება გადაყენებული იქნეს:
ა). თამამდებობიდან,
ბ). სამუშაოდან.

თანამდებობიდან(სამუშაოდან) შეიძლება გადაყენებული იქნეს:
ა). ეჭვმიტანილი,
ბ). ბრალდებული.

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენება არ გამორიცხავს ამ ბრალდებულის თანამდებობიდან(სამუშაოდან) გადაყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას, ანუ, ბრალდებული, რომელსაც შერჩეული აქვს დაპატიმრება, ამავე დროს შეიძლება გადაყენებული იქნეს თანამდებობიდან (სამუშაოდან).

ეჭვმიტანილის თანამდებობიდან(სამუშაოდან) გადაყენების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა). როგორც წესი, არ უნდა დაისვას საკითხი დაკავებული ეჭვმიტანილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, რადგანაც პირის ეჭვმიტანილის სახით დაკავების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 48 საათს. ასეთ შემთხვევაში თანამდებობიდან გადაყენების საკითხი უნდა დაისვას ბრალდების წარდგენის შემდეგ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ შუამდგომლობასთან ერთად, ან ცალკე;

ბ). თუ პირი დაკავებული არ არის, იგი ეჭვმიტანილი შეიძლება იყოს არა უმეტეს 30 დღისა. თუ ეჭვმიტანილი გადაყენებული იქნა თანამდებობიდან და ამ ვადაში(30 დღეში) არ იქნა მიცემული პასუხისგებაში ბრალდებულის სახით, ეჭვმიტანილის

თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ ბრძანება კარგავს ძალას.

გ). გარკვეულ პირთა თანამდებობიდან გადაყენების სპეციფიკა

მხოლოდ საქართველოს გენერალური პროკურორია უფლებამოსილი სასამართლოს მიმართოს შემდეგ თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენების(თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებისაგან ჩამოცილების) შესახებ შუამდგომლობით:

ა). საქართველოს პარლამენტის წევრი;

ბ). აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატები;

გ). საქართველოს სახალხო დამცველი;

დ). მოსამართლე;

ე). კონტროლის პალატის თავმჯდომარე.

ზემოთაღნიშნულ პირთა თანამდებობიდან გადაყენების საკითხი წყდება არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, არამედ შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესებით.

დ). შუამდგომლობის განხილვის წესი

შუამდგომლობის განხილვისათვის მომზადება, ასევე შუამდგომლობის განხილვა, გადაწყვეტილების მიღება, მიღებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემა და გასაჩივრება ხდება სსსკ-ის 140-ე მუხლით დადგენილი საერთო წესით. შუამდგომლობა განხილული უნდა იქნეს ზეპირი მოსმენით.

შეიძლება არსებობდეს წინასწარი გამოძიებისას ბრალდებულის თანამდებობიდან(სამუშაოდან) გადაყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვის ორი განსხვავებული შემთხვევა:

ა). პროკურორი(გამომძიებელი პროკურორის თანხმობით) უფლებამოსილია სასამართლოში ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ შუამდგომლობასთან ერთად წარადგინოს შუამდგომლობა ბრალდებულის თამნამდებობიდან გადაყენების შესახებაც. არ იქნება კანონდარღვევა ორივე მოთხოვნის ერთ შუამდგომლობაში ასახვაც. მოსამართლე უფლებამოსილია ორივე შუამდგომლობა(ან ერთ შუამდგომლობაში ასახული ორივე მოთხოვნა) განიხილოს ერთდროულად. ასეთ შემთხვევაში სათანადო საფუძვლების არსებობისას მოსამართლე უფლებამოსილია ერთი ბრძანებით დააკმაყოფილოს ორივე შუამდგომლობა. თუ სასამართლო არ აკმაყოფილებს არცერთ შუამდგომლობას(უარს ამბობს როგორც რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიების შერჩევაზე(ანუ საერთოდ არ ურჩევს ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებას) და ასევე, ტოვებს ბრალდებულს თანამდებობაზე(სამუშაოზე),

მოსამართლე უფლებამოსილია გამოიტანოს ერთი დადგენილება, ხოლო თუ სასამართლო აკმაყოფილებს ერთ-ერთ შუამდგომლობას და უარს ამბობს მეორე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, მაშინ ყველა შემთხვევაში გამოიტანება ორი საპროცესო აქტი – ბრანება შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ და დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

ბ). ბრალდებულის თანამდებობიდან(სამუშაოდან) გადაყენების შესახებ შუამდგომლობა სასამართლოში შეიძლება შეტანილი იქნეს მას შემდეგაც, რაც უკვე პირის მიმართ შერჩეულია აღკვეთის ღონისძიება. ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობა განიხილება სსსკ-ის 140-ე მუხლით დადგენილი წესების დაცვით და სასამართლო გასცემს ბრძანებას (შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში), ან გამოიტანს დადგენილებას(შუამდგომლობის უარყოფის შემთხვევაში).

ე). თანამდებობიდან(სამუშაოდან) გადაყენების საფუძველი

ბრალდებული(ეჭვმიტანილი) თანამდებობიდან(სამუშაოდან) შეიძლება გადაყენებული იქნეს, თუ არსებობს სარწმუნო მონაცემები (საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის), რომ ამ თანამდებობაზე (სამუშაოზე) დარჩენით ბრალდებული (ეჭვმიტანილი):

ა) ხელს შეუშლის ჭეშმარიტების დადგენას,

ბ). ხელს შეუშლის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ან

გ). განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას.

ამ ქმედებათა შესაძლო ჩადენის შესახებ სარწმუნო მონაცემები (საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის) არსებობს არა მარტო მაშინ, როდესაც პირმა უკვე განახორციელა ზემოთაღნიშნული ქმედებები, არამედ მაშინაც, როდესაც ბრალდების სიმძიმე, ქმედების ხასიათი, ბრალდებულის თანამდებობრივი, ან სამსახურებრივი უფლებამოსილება, საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ბრალდებულის პიროვნება და სხვა გარემოებათა ერთობლიობა ქმნის ვარაუდის საფუძველს, რომ ბრალდებულმა შეიძლება განახორციელოს აღნიშნული ქმედებები.

ვ). ბრალდებულის თანამდებობიდან(სამუშაოდან) გადაყენების ვადა

წინასწარი გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენება ყველა შემთხვევაში ხდება სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე. ანუ, ბრალდებულის თანამდებობიდან (სამუშაოდან) გადაყენების შესახებ ბრძანებაში არ მიეთითება თანამდებობიდან(სამუშაოდან) გადაყენების კონკრეტული ვადა(მაგ.: ერთი თვე და ა. შ).

V. ყადაღის დადება

ა). შუამდგომლობის შეტანა, განსჯადი სასამართლო

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობა პროკურორის, ან პროკურორის თანხმობით გამომძიებლის მიერ შეტანილი უნდა იქნეს მაგისტრატ მოსამართლესთან, ან შესაბამისი რაიონული(საქალაქო) სასამართლოს მოსამართლესთან გამოძიების ადგილის მიხედვით სსსკ-ის 140-ე მუხლით დადგენილი წესით.

ბ). ყადაღის დადების საფუძველი

ქონებაზე ყადაღა შეიძლება დაედოს:

– სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად,
– სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების(მაგ: გირაოს) უზრუნველსაყოფად,
– ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად.

გ). ქონება, რომელსაც შეიძლება დაედოს ყადაღა

სასამართლოს შეუძლია ყადაღა დაადოს:

– ეჭვმიტანილის ქონებას,
– ბრალდებულის ქონებას,
– განსასჯელის ქონებას,
– ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, ან განსასჯელის მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ქონებას,
– ეჭვმიტანილთან, ბრალდებულთან, ან განსასჯელთან დაკავშირებული პირის ქონებას,
– თუ არის საკმარისი მონაცემები, რომ ქონება რეკეტულია ან ქურდული სამყაროს წევრის ქონებაა(მიუხედავად ქონების მესაკუთრის საპროცესო სტატუსისა).

სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების – მაგ: გირაოს – უზრუნველსაყოფად ყადაღა შეიძლება დაედოს ბრალდებულის ქონებას, ან მისი სახელით გირაოს შემტანი ნებისმიერი პირის ქონებას ამ პირის(მესაკუთრის) თანხმობით.

არ შეიძლება ყადაღა დაედოს ბრალდებულისა და მისი ოჯახის წევრებისათვის საჭირო კვების პროდუქტებს, სათბობს, პროფესიული საქმიანობის ინვენტარსა და სხვა საგნებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს.

დ). შუამდგომლობის განხილვის წესი

არსებობს ყადაღასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვის ორი წესი:

– ზეპირი მოსმენის გარეშე და
– ზეპირი მოსმენით.

შუამდგომლობის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა ყადაღის დადების შესახებ განიხილოს ზეპირი მოსმენის(მხარეთა მოწვევისა და ზეპირი სასამართლო სხდომის) გარეშე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილების გამოტანისთანავე აცნობოს უფლებამოსილ პირებს გადაწყვეტილების შესახებ, ეს უნდა განხორციელდეს ტელეფონის, ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, უნდა შედგეს შესაბამისი ცნობა, ოქმი, რომელშიც სხვა გარემოებებთან ერთად მითითებული უნდა იყოს დროც(საათი) და დაერთოს სასამართლო წარმოების მასალებს. შესაძლებელია მხარეს იმავე დღეს უშუალოდ ჩაბარდეს გადაწყვეტილების ასლი, თუ ისინი გამოცხადდებიან სასამართლოში(ანუ მხარე დაბარებული(მოწვეული) უნდა იქნეს სასამართლოში გადაწყვეტილების ასლის გადასაცემად), ან გაეგზავნოს მათ ასლები კანონით დადგნილი რაიმე ფორმით. გადაწყვეტილების უშუალოდ გადაცემის შესახებ ყველა პირს ჩამოერთმევა ხელწერილი(დგება ოქმი, ცნობა) გადაცემის დროის მითითებით და ერთვის სასამართლო წარმოების მასალებს. თუ მხარეს გადაწყვეტილება უშუალოდ არ ჩაბარებია, სასამართლო წარმოების მასალებს ერთვის აგრეთვე იმ გზავნილის(მიმართვის და ა. შ) ასლი, რომლითაც მას გაეგზავნა გადაწყვეტილების ასლი.

შუამდგომლობის განხილვა ზეპირი მოსმენით

სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენით, ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობის განხილვისათვის მომზადება, შუამდგომლობის განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და მიღებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემა ხდება სსსკ-ის 140-ე მუხლით დადგენილი საერთო წესით.

ე). ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მოსამართლის ბრძანების მოქმედების ვადა

ქონებას ყადაღა ედება განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე ან სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტამდე. ანუ, ყადაღის დადება არ ხდება(არ შეიძლება) რაიმე კონკრეტული ვადით(მაგ.: ერთი თვით და ა. შ.). ბრძანებაში ან საერთოდ არ უნდა მიეთითოს ყადაღის

მოქმედების ვადა, ან უნდა მიეთითოს, რომ ყადაღა მოქმედებს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტამდე ან განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე.

ვ). გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით განხორციელებული ყადაღის დადების კანონიერების შემოწმება

თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ იმ დროში, რაც დასჭირდება მოსამართლის ბრძანების მიღებას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, ქონებას გადამალავენ ან გაანადგურებენ, პროკურორი, ან გამომძიებელი პროკურორის თანხმობით უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ და განახორციელოს ყადაღის დადება.

ასეთ შემთხვევაში გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ქონებაზე ყადაღის დადებიდან 24 საათის განმავლობაში პროკურორმა (ან გამომძიებელმა პროკურორის თანხმობით) უნდა შეატყობინოს მოსამართლეს და წარუდგინოს შესაბამისი მასალები ან ასლები. მომდევნო 24 საათის განმავლობაში მოსამართლე საერთო წესით (ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე) გამოტანილი დადგენილებით ადასტურებს ქონებაზე ყადაღის დადების კანონიერებას ან უკანონოდ ცნობს მას და აუქმებს ქონებაზე ყადაღის დადებას.

ზ). ყადაღასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი

წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს 72 საათში შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში:

ა). ბრძანების გაცემიდან, ან

ბ). ბრძანების აღსრულებიდან, ანუ ყადაღის დადებიდან.

არ არსებობს ერთდროულად გასაჩივრების ორმაგი უფლება – თუ ბრძანება გასაჩივრებული იყო მისი გაცემიდან 72 საათში, იგი განმეორებით ვეღარ გასაჩივრდება მისი აღსრულების შემდეგ.

წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება ქონებაზე ყადაღის დადებაზე უარის თქმის, ან გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით განხორციელებული ყადაღის დადების უკანონოდ ცნობის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 48 საათის ვადაში შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

საჩივარი შეიტანება გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში.

ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს ბრძანება ძალაში შედის გაცემისთანავე და გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

VI. სამედიცინო ექსპერტიზა ეჭვმიტანილის მიმართ

ა). ეჭვმიტანილის უფლება, მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება ან ექსპერტიზის ჩატარება

ეჭვმიტანილს უფლება აქვს დაკავებისთანავე, ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა, აგრეთვე სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად.

ეჭვმიტანილი ვალდებული არ არის წარმოადგინოს რაიმე მტკიცებულება (დოკუმენტი) ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ან რაიმე სხვა ფორმით ამტკიცოს სამედიცინო შემოწმების, ან ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა. დაკავებისთანავე ან ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანისთანავე ეჭვმიტანილს ყოველგვარი საფუძვლის გარეშეც შეუძლია მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი წერილობითი დასკვნა, ან სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად და ასეთ შემთხვევაში შუამდგომლობა დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.

ბ). სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის უფლება

ეჭვმიტანილის მოთხოვნა(შუამდგომლობა) დაკავების ან ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილების გამოტანისთანავე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამოწმებლად ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით გამომძიებელს(პროკურორს) იმპერატიულად ავალდებულებს ექსპერტიზის დანიშვნას. მიუხედავად ამისა, თუ გამომძიებელმა(პროკურორმა) არ შეასრულა ეს ვალდებულება, ექსპერტიზის დანიშვნაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს მაგისტრატ მოსამართლესთან, ან შესაბამისი რაიონული(საქალაქო) სასამართლოს მოსამართლესთან გამოძიების ადგილის მიხედვით.

გ). საჩივრის განხილვის ვადა და წესი

საჩივარი განიხილება არა უგვიანეს 24 საათისა. თუ საჩივარს თან ერთვის მისი განხილვისათვის საჭირო მასალების ასლები, ამ ვადის ათვლა იწყება საჩივრისა და მასალების სასამართლოში შესვლიდან, ხოლო თუ საჩივარს თან არ ერთვის მასალები, სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოითხოვოს შესაბამისი მასალები და 24 საათიანი ვადის ათვლა დაიწყება ამ მასალების მიღებიდან.

სასამართლო უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ორი ფორმით – როგორც ზეპირი მოსმენის გარეშე, ასევე, ზეპირი მოსმენით. ორივე შემთხვევაში გამოიყენება სსსკ-ით განხილვის შესაბამისი ფორმისათვის დადგენილი წესები.

შესაბამისი საფუძვლების არსებობისას სასამართლო ვალდებულია დააკმაყოფილოს საჩივარი. საჩივართან დაკავშირებით სასამართლოს გამოაქვს დადგენილება. ამასთან, საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსამართლე არ არის უფლებამოსილი თვითონ დანიშნოს ექსპერტიზა(გამოიტანოს დადგენილება ექსპერტიზის დანიშნის შესახებ), არამედ, მოსამართლემ ექსპერტიზის დანიშვნა(დადგენილების გამოტანა) უნდა დაავალოს გამომძიებელს (პროკურორს).

სასამართლოსათვის საჩივრის მიმართვის უფლება ერთჯერადია, ანუ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ სასამართლოში აღარ საჩივრდება.

VII. ჩხრეკა და ამოღება

ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებისათვის ფაქტობრივ, ანუ მტკიცებულებით საფუძველებთან(რომლებიც ასაბუთებენ ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობას) ერთად, საჭიროა სამართლებრივი საფუძვლის არსებობაც.

შეიძლება არსებობდეს ორი სახის სამართლებრივი საფუძველი ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებისათვის:

– მოსამართლის მიერ წინასწარ გაცემული ბრძანება ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების შესახებ, ან

– გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – პროკურორის, ან გამომძიებლის დადგენილება.

– გამონაკლისია სსსკ-ის 145-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა – როდესაც პირის დაკავებისას არსებობს პირადი ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობა(დაკავებულს აქვს იარაღი, ან აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მამხილებელი მტკიცებულებები), დამკავებელ თანამდებობის პირს უფლება აქვს ჩაატაროს პირადი ჩხრეკა მოსამართლის ბრძანების, პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილების გარეშე., ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც აუცილებელია საერთო წესით სასამართლოსათვის მიმართვა პირადი ჩხრეკის კანონიერების შესამოწმებლად.

არსებობს ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებაზე(წარმოებაზე) სასამართლო კონტროლის ორი ფორმა:

– წინასწარი, ანუ „სანებართვო“,

– შემდგომი, ანუ „შემოწმებითი“.

წინასწარი, ანუ „სანებართვო“ სასამართლო კონტროლი გულისხმობს ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების შესახებ მოსამართლის ბრძანების(ანუ ნებართვის) მიღებას საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე(დაწყებამდე).

შემდგომი, ანუ „შემოწმებითი“ სასამართლო კონტროლი გულისხმობს ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებას გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, მოსამართლის ბრძანების გარეშე და მოსამართლისათვის შესაბამისი მასალების წარდგენას ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების კანონიერების საკითხის შემოწმების მიზნით.

1. გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ჩატარებული ჩხრეკის ან ამოღების კანონიერების განხილვა – შემდგომი, ანუ „შემოწმებითი“ სასამართლო კონტროლი

ა). გადაუდებელი აუცილებლობა

მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების საფუძველია გადაუდებელი აუცილებლობა.

გადაუდებელია შემთხვევა, როდესაც ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების გადადებამ(დაუყოვნებლივ არჩატარებამ, დაყოვნებამ) შეიძლება შექმნას:

– ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის საფრთხე,

– კვალისა და ნივთიერი მტკიცებულების დაკარგვის საფრთხე,

– მტკიცებულებათა დაზიანება-განადგურების, ან გადამალვის რეალური საფრთხე,

გადაუდებელია ასევე შემთხვევა, როდესაც

– დაკავებულს აქვს იარაღი,

– აპირებს თავიდან მოიშოროს დანაშაულის ჩადენაში მისი მამხილებელი მტკიცებულება,

– პირს დანაშაულის ფაქტზე წაასწრებენ,

– საქმისათვის საჭირო საგნები და დოკუმენტები აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას(შემთხვევის ადგილის დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, შემოწმება), ან

– შეუძლებელია მოსამართლის ბრძანების მიღება მისი ადგილზე არყოფნის გამო.

ბ). სასამართლოსათვის მიმართვის წესი და სასამართლოსათვის წარსადგენი მასალები

მოსამართლის ბრძანების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, ამოღების ან ჩხრეკის ჩატარების შესახებ გამომძიებელმა (საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელმა პირმა) დაუყოვნებლივ (გონივრულ ვადაში) უნდა აცნობოს საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორს(პროკურატურას).

პროკურორი ვალდებულია ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებიდან(ანუ დამთავრებიდან) არა უგვიანეს 24 საათისა შუამდგომლობა და საგამოძიებო მოქმედების კანონიერების საკითხის განხილვისათვის საჭირო მასალების ასლები, რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების აუცილებლობას, წარუდგინოს შესაბამის სასამართლოს.

კანონი არ ადენს კონკრეტულ ჩამონათვალს, თუ რა მასალები უნდა წარედგინოს სასამართლოს. როგორც მინიმუმი, პროკურორის შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოს უნდა წარედგინოს პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილება(გარდა სსსკ-ის 145-ე მუხლით გათვალისწინებული პირადი ჩხრეკის შემთხვევისა, რა დროსაც დადგენილების არსებობა აუცილებელი არ არის) გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით საგამოძიებო მოქმეების ჩატარების შესახებ და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების ოქმი.

სასამართლოს შეიძლება წარედგინოს ასევე იმ მასალების ასლებიც(ან სასამართლომ მოითხოვოს წარდგენა), რომლებიც აუცილებელია შუამდგომლობის სრულყოფილი განხილვისა და გადაწყვეტისათვის, მაგალითად, იმ პირის ჩვენება, რომლის მიმართაც ჩატარდა (რომლის ინტერესებსაც შეეხო) საგამოძიებო მოქმედება, დამსწრეთა ჩვენებები(თუ მონაწილეობდნენ), ექსპერტის დასკვნა ამოღებული ნივთმტკიცების (ნარკოტიკული საშუალების, იარაღის და ა. შ.) შესახებ(თუ უკვე გაცემულია) და სხვა.

გ). განსჯადი სასამართლო

გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ჩატარებული ჩხრეკის ან ამოღების კანონიერების შემოწმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობა და საჭირო მასალების ასლები წარედგინება იმ მაგისტრატ მოსამართლეს, ან იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება. ანუ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილს და არა ზოგადად ამ საქმეზე გამოძიების წარმოების ადგილს.

დ). შუამდგომლობის განხილვის ფორმა

გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, მოსამართლის ბრძანების გარეშე, ჩატარებული ჩხრეკის ან ამოღების კანონიერების (პროკურორის შუამდგომლობის) განხილვა სასამართლოს მიერ შეიძლება ორი წესით:

- ზეპირი მოსმენის გარეშე, ან
- ზეპირი მოსმენით.

ე). განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა ნიშნავს, რომ მოსამართლეს ერთპიროვნულად, შუამდგომლობის ავტორისა და პროცესის რომელიმე სხვა მონაწილის(მაგ: ჩხრეკის ჩამტარებელი პირის, ან იმ პირის, ვის მიმართაც ჩატარდა ჩხრეკა) მოწვევის გარეშე, მხოლოდ წარდგენილი შუამდგომლობისა და მასალების საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება.

ვ). განხილვა ზეპირი მოსმენით

მოსამართლე უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენით, ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ ეს არის არა სსსკ-ის 140-ე მუხლით დადგენილი საერთო წესით „ზეპირი

მოსმენა“, არამედ, შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვა ნიშნავს, რომ მოსამართლეს უფლება აქვს განმარტების მისაცემად გამოიძახოს საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი, რომელიც განმარტებებს იძლევა ზეპირად და სხდომის ოქმი არ დგება.

ზ). შუამდგომლობის განხილვის ვადა და გადაწყვეტილების ფორმა

მიუხედავად განხილვის ფორმისა(ზეპირი მოსმენით, თუ ზეპირი მოსმენის გარეშე), მოსამართლემ შუამდგომლობა უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება გამოიტანოს შუამდგომლობისა და მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა.

მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება:

– ჩატარებული ჩხრეკის ან ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ;

– ჩატარებული ჩხრეკის ან ამოღების უკანონოდ ცნობის და ამ მოქმედებით მიღებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ.

თ). მხარეთა ინფორმირება გადაწყვეტილების შესახებ და დადგენილების ასლების გადაცემა

სასამართლო ვალდებულია როგორც ზეპირი მოსმენით, ასევე ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანისთანავე აცნობოს უფლებამოსილ პირებს(პროკურორს, გამომძიებელს, პირს, რომლის მიმართაც ჩატარებული იყო ჩხრეკა ან ამოღება, მის დამცველს(თუ მონაწილეობს საქმეში) გადაწყვეტილების შესახებ, ეს უნდა განხორციელდეს ტელეფონის, ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, უნდა შედგეს შესაბამისი ცნობა, ოქმი, რომელშიც სხვა გარემოებებთან ერთად მითითებული უნდა იყოს დროც(საათი) და დაერთოს სასამართლო წარმოების მასალებს. შესაძლებელია მხარეს იმავე დღეს უშუალოდ ჩაბარდეს დადგენილების ასლი, თუ ისინი გამოცხადდებიან სასამართლოში(ანუ მხარე დაბარებული(მოწვეული) უნდა იქნეს სასამართლოში გადაწყვეტილების ასლის გადასაცემად), ან გაეგზავნოს მათ ასლები კანონით დადგენილი რაიმე ფორმით. დადგენილების უშუალოდ გადაცემის შესახებ ყველა პირს ჩამოერთმევა ხელწერილი(დგება ოქმი, ცნობა) გადაცემის დროის მითითებით და ერთვის სასამართლო წარმოების მასალებს. თუ მხარეს გადაწყვეტილება უშუალოდ არ ჩაბარებია, სასამართლო წარმოების მასალებს ერთვის აგრეთვე იმ გზავნილის(მიმართვის და ა. შ) ასლი, რომლითაც მას გაეგზავნა გადაწყვეტილების ასლი.

ი). შუამდგომლობის განხილვისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი (შესაფასებელი) საკითხები და გარემოებები

მოსამართლის ბრძანების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, ჩატარებული ჩხრეკის ან ამოღების კანონიერების საკითხის განხილვისას სასამართლო ამოწმებს:

– არსებობდა თუ არა გადაუდებელი აუცილებლობა, ანუ ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების აუცილებლობა მოსამართლის ბრძანების გარეშე;

– დაცულია თუ არა ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებისას, ან ჩხრეკის ან ამოღების ოქმის შედგენისას(ზოგადად, მტკიცებულების დამაგრებისას) დაშვებული ყოველგვარი დარღვევა არ იწვევს საგამოძიებო მოქმედებისა და ამ მოქმედებით მიღებულ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობას. დაუშვებლობის საფუძველი შეიძლება იყოს ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც შეუძლებელს ხდის საქმეზე ამ მტკიცებულების გამოყენებას(იხ.: სსსკ-ის 111-ე მუხლი).

სასამართლომ საკითხი უნდა შეაფასოს ორი მიმართულებით:

1). დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებისას(მიმდინარეობისას), და

2). დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედებისა და მოპოვებული მტკიცებულებების საპროცესო დამაგრებისას(ანუ შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ოქმის შედგენისას).

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სასამართლო საკითხის შეფასებას ახდენს წარდგენილი მასალების საფუძველზე, ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაშიც კი სასამართლო უფლებამოსილია გამოიძახოს მხოლოდ ჩხრეკის ან ამოღების ჩამტარებელი პირი, სხვა პირებს სასამართლო ვერ დაკითხავს(ვერ გამოკითხავს). უმთავრესი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც სასამართლო ამოწმებს ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებისას და მტკიცებულებათა მოპოვებისას კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის საკითხებს, ეს არის ჩხრეკის ან ამოღების ოქმი, ანუ სასამართლო პირველ რიგში ამოწმებს, დაცულია თუ არა კანონის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედების საპროცესო დამაგრების შესახებ დოკუმენტის – ჩხრეკის ან ამოღების ოქმის – შედგენისას. თუ სასამართლო დაადგენს, რომ არსებობდა ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა, დარწმუნდება, რომ ჩხრეკის ან ამოღების ოქმის შესაბამისად საგამოძიებო მოქმედება ჩატარებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით, ეს იძლევა საფუძველს ჩატარებული ჩხრეკა ან ამოღება კანონიერად იქნეს ცნობილი. ჩხრეკის ან ამოღების ოქმში მითითებული გარემოებები სასამართლომ შეიძლება უარყოს მხოლოდ სხვა მტკიცებულებებზე მითითებით, ხოლო თუ ასეთი მტკიცებულებები სასამართლოს მიერ საკითხის განხილვის დროისათვის არ არსებობს და, ამავე დროს,

ჩხრეკის ან ამოღების ოქმის და წარმდგენილი მასალების შესაბამისად, ჩხრეკა ან ამოღება ჩატარებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო ჩხრეკას ან ამოღებას სცნობს კანონიერად. ამასთან, თუ შემდგომში(გამოძიების დროს, ან საქმის არსებითად განხილვისას სასამართლოში) მოპოვებული იქნება მტკიცებულებები, რაც დაადასტურებენ ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებისას კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტს, მტკიცებულების დაუშვებლობის საკითხი გადაწყდება პროცესის მწარმოებელი ორგანოს (გამომძიებლის, პროკურორის, ან სასამართლოს) მიერ საერთო წესით (იხ.: სსსკ-ის 111-ე მუხლი).

2. ბრძანების გაცემა ჩხრეკის ან ამოღების ჩასატარებლად – ანუ „წინასწარი“ სასამართლო კონტროლი

ა). შუამდგომლობისა და შესაბამისი მასალების შეტანა სასამართლოში

ჩხრეკის ან ამოღების ჩასატარებლად ბრძანების მისაღებად სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს პროკურორს, ან გამომძიებელს პროკურორის თანხმობით სსსკ-ის 140-ე მუხლით დადგენილი საერთო წესით.

შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო მასალების ასლები. კოდექსი არ ადენს რაიმე ჩამონათვალს, თუ რა იგულისხმება სიტყვებში – „კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო მასალების ასლები“. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს უნდა წარედგინოს ყველა იმ მტკიცებულებისა და სხვა დოკუმენტის ასლი, რომლებიც აუცილებელია შუამდგომლობის სრულყოფილი განხილვისა და გადაწყვეტისათვის. მაგალითად,

– სასამართლოს, როგორც მინიმუმი, აუცილებლად უნდა წარედგინოს საქმის გამოძიების პროცესში უკვე მოპოვებული იმ მტკიცებულებათა და სხვა მასალების ასლები, რომლებიც მიუთითებენ, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი ან სხვა ნივთი (ნივთიერება და ა. შ.) გარკვეულ ადგილას, გარკვეულ პირთან ინახება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა დოკუმენტების წარდგენაა აუცილებელი შუამდგომლობის განხილვისათვის, ანუ მოთხოვნის დასაბუთებისათვის, წყვეტს გამომძიებელი და პროკურორი. თუმცა, შუამდგომლობის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია შუამდგომლობის წარმომდგენს მისცეს წინადადება წარმოადგინოს შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო სხვა მტკიცებულებები და დოკუმენტები.

ბ). განსჯადი სასამართლო

შუამდგომლობა ჩხრეკის ან ამოღების ჩასატარებლად მოსამართლის ბრძანების მისაღებად ყველა შემთხვევაში შეიტანება მაგისტრატ მოსამართლესთან, ან შესაბამისი რაიონული(საქალაქო) სასამართლოს მოსამართლესთან გამოძიების ადგილის მიხედვით, იმისდა მიუხედავად, სად უნდა ჩატარდეს ჩხრეკა ან ამოღება. მაგ.:

– გამოძიებას აწარმოებს თბილისის პროკურატურა, ჩასატარებელია ჩხრეკა თბილისში – შუამდგომლობა ბრძანების მისაღებად შეიტანება თბილისის საქალაქო სასამართლოში,

– ამავე საქმეზე ჩასატარებელია ჩხრეკა ლანჩხუთში – შუამდგომლობა ბრძანების მისაღებად მაინც შეიტანება თბილისის საქალაქო სასამართლოში.

გ). შუამდგომლობის განხილვის ფორმა

ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების შესახებ შუამდგომლობის განხილვა სასამართლოს მიერ შეიძლება ორი წესით:

– ზეპირი მოსმენის გარეშე, ან

– ზეპირი მოსმენით.

დ). განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

ჩხრეკის ან ამოღების შესახებ ბრძანების გასაცემად შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, გადაწყვეტილების მიღება, გადაწყვეტილების შესახებ უფლებამოსილ პირთა ინფორმირება და მათთვის ასლების გადაცემა ან გაგზავნა ხდება იმავე ვადაში და იმავე წესით, რაც მითითებული იქნა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ჩატარებული ჩხრეკის ან ამოღების კანონიერების შემოწმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვასთან დაკავშირებით.

ე). განხილვა ზეპირი მოსმენით

მოსამართლე უფლებამოსილია ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების შესახებ ბრძანების მისაღებად შემოტანილი შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენით. შუამდგომლობა მოსამართლემ უნდა განიხილოს შუამდგომლობისა და შესაბამისი მასალების მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა. ამ ვადაში სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს.

შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას და უზრუნველყოფს უფლებამოსილი პირების ინფორმირებას სხდომის დროისა და ადგილის შესახებ სსსკ-

ის 140-ე მუხლით დადგენილი საერთო წესით, ამავე მუხლით დადგენილი წესითა და პროცედურით ხდება შუამდგომლობის განხილვა, გადაწყვეტილების მიღება, გამოცხადება და მხარეთათვის გადაცემა (გაგზავნა).

ვ). გადაწყვეტილების ფორმა

შუამდგომლობის განხილვის შედეგად(მნიშვნელობა არა აქვს ზეპირი მოსმენით თუ მის გარეშე) მოსამართლე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

– გასცემს ბრძანებას ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების შესახებ(ანუ ნებას რთავს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე);

– გამოაქვს დადგენილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე (ანუ ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების ნებართვის მიცემაზე) უარის თქმის შესახებ.

ზ). ჩხრეკასთან ან ამოღებასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანება ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს 72 საათში შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში:

ა). ბრძანების გაცემიდან, ან

ბ). ბრძანების აღსრულებიდან, ანუ ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებიდან(დამთავრებიდან).

არ არსებობს ერთდროულად გასაჩივრების ორმაგი უფლება – თუ ბრძანება გასაჩივრებული იყო მისი გაცემიდან 72 საათში, იგი განმეორებით ვეღარ გასაჩივრდება მისი აღსრულების შემდეგ.

წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება ჩხრეკის ან ამოღების ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 48 საათის ვადაში შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის ან ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ მოსამართლის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 72 საათში შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

საჩივარი შეიტანება ბრძანების(დადგენილების) გამცემ(გამომტან) სასამართლოში და მასალებთან ერთად დაუყოვნებლივ(გონივრულ

ვადაში) იგზავნება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების შესახებ სასამართლოს ბრძანება ძალაში შედის გაცემისთანავე და გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.

VIII. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა

ა). გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას

სასამართლოს განსჯადია:

– უფლებამოსილი პირის საჩივარი სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილებაზე;

– უფლებამოსილი პირის საჩივარი წინასწარი გამოძიების ეტაპზე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილებაზე.

საქმეზე წინასწარი გამოძიების დაწყებაზე სასამართლო კონტროლი არ ხორციელდება. პროკურორის(ან გამომძიებლის) უარი წინასწარი გამოძიების დაწყებაზე(რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი გაფორმებული – დადგენილების, მიმართვის და ა. შ.) სასამართლოში გასაჩივრებას და სასამართლოს მიერ არსებით განხილვასა და გადაწყვეტას არ ექვემდებარება. სასამართლო არ არის უფლებამოსილი წინასწარი გამოძიების დაწყების დავალება მისცეს პროკურორს. პროკურორის(ან გამომძიებლის) უარი წინასწარი გამოძიების დაწყებაზე საჩივრდება პროკურორთან(ზემდგომ პროკურორთან).

გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე, რომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე გამომძიებლის ან პროკურორის მიერ გამოტანილი დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ან/და პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე უარის თქმის შესახებ(ანუ უარი მხარის შუამდგომლობაზე) სასამართლოში არ საჩივრდება, იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ პროკურორთან(ზემდგომ პროკურორთან).

ბ). განსჯადი სასამართლო

საქმეზე წინასწარი გამოძიების, ან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის მიერ გამოტანილ დადგენილებზე საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს მაგისტრატ მოსამართლესთან, ან შესაბამისი რაიონული(საქალაქო) სასამართლოს მოსამართლესთან გამოძიების ადგილის მიხედვით(ანუ, იმ ადგილის მიხედვით, სადაც მიმდინარეობდა და შეწყდა გამოძიება).

პირმა შესაძლებელია პროკურორის დადგენილება გაასაჩივროს ჯერ ზემდგომ პროკურორთან და ამ(ზემდგომი) პროკურორის მიერ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემდეგ – სასამართლოში. ზემდგომი პროკურორის სამუშაო ადგილი შეიძლება იყოს გამოძიების წარმოებისა და შეწყვეტის ადგილის გარეთ, ასეთ შემთხვევაშიც საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს არა საჩივრის უარმყოფელი ზემდგომი პროკურორის სამუშაო ადგილის მიხედვით სასამართლოში, არამედ, საერთო წესით, გამოძიების წარმოებისა და შეწყვეტის ადგილის მიხედვით სასამართლოში.

გ). გასაჩივრების უფლებამოსილების მქონე პირები

წინასწარი გამოძიების ეტაპზე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება პირველი ინსტანციის სასამართლოში შეიძლება გაასაჩივრონ:

– ეჭვმიტანილმა,
– ბრალდებულმა,
– დამცველმა,
– დაზარალებულმა და მისმა წარმომადგენელმა,
– სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ და მათმა წარმომადგენლებმა,
– პირმა, რომლის განცხადებითაც დაიწყო გამოძიება.

„წარმომადგენელთა“ მიერ საჩივრის შეტანის უფლების განმარტებისას ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ფიზიკური პირის, როგორც დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება იყოს ადვოკატი, რომელიც საქმეში მონაწილეობს შესაბამისი ორდერით, გარდა კანონიერი წარმომადგენლისა შესაბამისი საფუძვლების არსებობისას.

საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე ისეთი სუბიექტის, როგორიცაა – **„პირი, რომლის განცხადებითაც დაიწყო გამოძიება“** – უფლებამოსილების განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ამ პირის განცხადება წინ უნდა უსწრებდეს საქმეზე გამოძიების დაწყებას, განცხადება(მასში მითითებული გარემოებები) უნდა იყოს საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი. სხვა შემთხვევაში, როდესაც საქმეზე უკვე დაწყებულია გამოძიება და ამის შემდეგ პირს შეაქვს განცხადება, იგი არ სარგებლობს შემდგომში საქმეზე წინასწარი გამოძიების ან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებით, თუ მას არ შეუძენია გასაჩივრების უფლებამოსილების მიმნიჭებელი სხა(მაგ: დაზარალებულის და ა.შ.) საპროცესო სტატუსი.

დ). სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის ვადა

საჩივარი სასამართლოში შეტანილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 15 დღე-ღამისა მას შემდეგ, რაც საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირს ჩაბარდება საქმეზე წინასწარი გამოძიების ან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილების ასლი.

საჩივრის შეტანა დასაშვებია როგორ პირდაპირ სასამართლოში, ასევე, ჯერ ზემდგომ პროკურორთან, ხოლო მას შემდეგ, თუ ზემდგომმა პროკურორმა უარყო საჩივარი(ანუ ძალაში დატოვა შეწყვეტის დადგენილება) – სასამართლოში. ასეთ შემთხვევაში სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის 15 დღიანი ვადის ათვლა დაიწყება ზემდგომი პროკურორის მიერ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების(მნიშვნელობა არა აქვს ეს იქნება დადგენილება, თუ მიმართვა და ა. შ.) საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირისათვის ჩაბარებიდან.

ე). საჩივრის შეტანა ვადის დარღვევით და სასამართლოს მოქმედება

მოსამართლე პირველ რიგში ამოწმებს დაცულია თუ არა სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის 15 დღიანი ვადა. ამ ვადის დაცვისა თუ დარღვევის საკითხს სასამართლოს კანცელარია ვერ შეამოწმებს, იგი უნდა შეამოწმოს მოსამართლემ შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის საფუძველზე, ანუ იმ მასალების გაცნობის საფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ, თუ როდის ჩაბარდა პირს პროკურორის დადგენილების ასლი და როდის იქნა შეტანილი საჩივარი სასამართლოში, ან ჩაბარდა ფოსტას, უფლებამოსილი პირს(დაწესებულებას).

თუ მასალების გაცნობით მოსამართლე დაადგენს(დარწმუნდება), რომ დაცულია სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის ვადა, მას რაიმე ცალკე გადაწყვეტილება საჩივრის მიღების შესახებ არ გამოაქვს. საჩივარი დადგენილი წესით ექვემდებარება არსებით განხილვასა და გადაწყვეტას.

თუ მასალების გაცნობით მოსამართლე დაადგენს(დარწმუნდება), რომ გასულია(გაშვებულია) სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის ვადა, შეიძლება არსებობდეს სასამართლოს მოქმედების რამდენიმე ვარიანტი:

ვარიანტი ა): საჩივრის ავტორი(საჩივრის შემტანი მხარე) საჩივრით ითხოვს მხოლოდ პროკურორის დადგენილების გაუქმებას და ამ საჩივარში არ არის დაყენებული მოთხოვნა გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევის(ვადის აღდგენის) შესახებ, ასევე, არ არის შემოტანილი ცალკე მოთხოვნა(შუამდგომლობა განცხადება და ა. შ.) გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევის(ვადის აღდგენის) შესახებ –

ასეთ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანოს დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესხებ სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის ვადის გაშვების(ვადის დარღვევის) გამო, ისე, რომ მოსამართლე არ მსჯელობს(არ იღებს გადაწყვეტილებას) ვადის გაშვების საპატიოობაზე თუ არასაპატიოობაზე. ამის შემდეგ საჩივრის შემტან პირს(მხარეს) უფლება აქვს ცალკე განცხადებით(შუამდგომლობით) მოითხოვის მოსამართლის მიერ გაშვებულად მიჩნეული ვადის აღდგენა(საპატიოდ მიჩნევა). მოსამართლე უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე ამ განცხადების(შუამდგომლობის) განხილვის შედეგად გამოიტანოს დადგენილება:

– ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ; ან
– ვადის აღდგენის(ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის) შესახებ.

ვადის აღდგენის(საპატიოდ მიჩნევის) შემთხვევაში სასამართლო საჩივარს იხილავს საერთო წესით და მიღებული გადაწყვეტილება ასევე საერთო წესით საჩივრდება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში;

ვარიანტი ბ): საჩივრის ავტორი(საჩივრის შემტანი მხარე) ერთ სჩივარში ერთდროულად აყენებს ორ მოთხოვნას, ითხოვს როგორც პროკურორის დადგენილების გაუქმებას, ასევე, გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევას, ან საჩივართან ერთად(ან ცალკე) შემოტანილი შუამდგომლობით(განცხადებით) ითხოვს გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევას – ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დადგენილება:

– ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ; ან
– ვადის აღდგენის(ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის) შესახებ.

ვადის აღდგენის(საპატიოდ მიჩნევის) შემთხვევაში სასამართლო საჩივარს იხილავს საერთო წესით და მიღებული გადაწყვეტილება ასევე საერთო წესით საჩივრდება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში;

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის დადგენილება ვადის აღდგენის(საპატიოდ მიჩნევის) შესახებ არ საჩივრდება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის დადგენილება ვადის აღდგენაზე უარის თქმის(არასაპატიოდ მიჩნევის) შესახებ საერთო წესით საჩივრდება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

ვ). საგამოძიებო კოლეგიის გადაწყვეტილება ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებაზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით და პირველი ინსტანციის სასამართლოს შემდგომი მოქმედება

ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის დადგენილებაზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

– პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილების ძალაში დატოვების, ანუ ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, ან

– პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილების გაუქმებისა და ვადის აღდგენის შესახებ.

თუ საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ძალაში დატოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებას, ანუ უარს იტყვის ვადის აღდგენაზე, ამით ამ საჩივართან დაკავშირებით სასამართლო წარმოება მთავრდება.

თუ საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე გააუქმებს ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებას, ანუ აღადგენს(საპატიოდ მიიჩნევს) გასაჩივრების ვადას, „არსებითი“ საჩივარი და მასალები განსახილველად უბრუნდება პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელიც ვალდებულია საერთო წესით არსებითად განიხილოს საჩივარი პროკურორის დადგენილებაზე. ასეთ შემთხვევაში გამოტანილი დადგენილება საერთო წესით გასაჩივრდება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

ზ). სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის ვადა

საჩივრის განხილვა უნდა დამთავრდეს და გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 15 დღისა.

საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის 15 დღიანი ვადის ათვლა უნდა მოხდეს შემდეგი წესით:

– სასამართლომ გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის გარეშე, ანუ იმ საქმის მასალების გაცნობის გარეშე, რომელზეც შეწყდა წინასწარი გამოძიება ან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. საჩივრის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ(გონივრულ ვადაში) სასამართლომ შესაბამისი დაწესებულებიდან(საგამოძიებო უწყება, პროკურატურა) უნდა გამოითხოვოს შესაბამისი საქმე და განხილვის 15 დღიანი ვადის ათვლა დაიწყება შესაბამისი საქმის მასალების სასამართლოში შესვლის დღიდან.

თ). საჩივრის განხილვის ფორმა

საქმეზე წინასწარი გამოძიების ან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის

დადგენილებაზე შეტანილი საჩივარი სასამართლომ შეიძლება განიხილოს ორი ფორმით:

– ზეპირი მოსმენის გარეშე, ან
– ზეპირი მოსმენით.

ი). განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა, გადაწყვეტილების მიღება, გადაწყვეტილების შესახებ უფლებამოსილ პირთა ინფორმირება და მათთვის ასლების გადაცემა ან გაგზავნა ხდება ზეპირი მოსმენის გარეშე შუამდგომლობისა თუ საჩივრის განხილვისათვის სსსკ-ით დადგენილი საერთო წესით.

კ). განხილვა ზეპირი მოსმენით, საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის(სასამართლო სხდომის) პროცედურა

მოსამართლე უფლებამოსილია საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენით.

შუამდგომლობის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას და უზრუნველყოფს განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილების მქონე პირების ინფორმირებას სხდომის დროისა და ადგილის შესახებ სსსკ-ის 140-ე მუხლით ან/და ზოდაგად სსსკ-ით დადგენილი საერთო წესით.

საქმეზე წინასწარი გამოძიების ან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილებასთან დაკავშირებული საჩივრის სასამართლო განხილვის სხდომის სპეციალურ პროცედურას სსსკ-ის 242-ე მუხლი არ ადგენს. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 140-ე მუხლით, ასევე, სსსკ-ით დადგენილი ზოგადი პროცედურებით, განსახილველი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით. სხდომა უნდა ჩატარდეს შემდეგი ძირითადი პროცედურების დაცვით: უნდა გამოცხადდეს განსახილველი საჩივარი, მხარეები(განხილვაში მონაწილე პირები), მოსამართლის და მდივნის ვინაობა, დაისვას აცილების საკითხი, მიეცეს სიტყვა საჩივრის ავტორს(ამ მხარის ყველა წარმომადგენელს), მიეცეს სიტყვა სხვა მხარეებს(პროცესის სხვა მონაწილეებს) თავიანთი პოზიციის(მოსაზრების) ჩამოსაყალიბებლად, მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოსვლის დამთავრების შემდეგ მოსამართლის ნებართვით დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები(მასალები).

საჩივრის განხილვისათვის კანონით დადგენილი შეზღუდული ვადის გათვალისწინებით, მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას, ამასთან, მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, ან მხარეთა შუამდგომლობით გადადოს

განხილვა, მაგრამ მხოლოდ საჩივრის განხილვისათვის კანონით დადგენილი 15 დღიანი ვადის ფარგლებში.

განხილვის დამთავრების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება ადგილზე თათბირით ან სათათბირო ოთახში გასვლით. მოსამართლე აცხადებს მიღებული დადგენილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს.

ლ). განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილების მქონე პირები საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში

საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვაში(ანუ სასამართლო სხდომაში) მონაწილეობის უფლება აქვთ:

– პროკურორს(რომელმაც გამოიტანა შეწყვეტის დადგენილება, იმავე პროკურატურის სხვა პროკურორს, ან ნებისმიერ ზემდგომ პროკურორს),

– გამომძიებელს, რომელიც აწარმოებს, ან აწარმოებდა ამ საქმეზე გამოძიებას,

– საჩივრის ავტორს,

– საჩივრის ავტორის დამცველს(თუ ჰყავს დამცველი) და წარმომადგენელს(თუ არსებობს საქმეში წარმომადგენლის მონაწილეობის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები),

– პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება(მაგ.: თუ განიხილება დაზარალებულის საჩივარი საქმეზე წინასწარი გამოძიების ან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილებაზე – სხდომაზე დასწრებისა და განხილვაში მხარის სტატუსით მონაწილეობის უფლება აქვს იმ პირს, რომლის მიმართაც შეწყვეტილია საქმე ან სისხლისსამართლებრივი დევნა).

მ). ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა შეაფასოს სასამართლომ საჩივრის გადაწყვეტისას

საჩივრის განხილვისას სასამართლო ამოწმებს გამოძიება ჩატარებულია თუ არა სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, არის თუ არა საქმის გარემოებები გამოკვლეული ყოველმხრივ, ობიექტურად და სრულად; გარკვეულია თუ არა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება(სსსკ-ის 112-ე მუხლი) და ამოწურულია თუ არა მტკიცებულებათა მოპოვების შესაძლებლობა.

სასამართლო არ არის უფლებამოსილი პროკურორის დადგენილების გაუქმების საფუძვლად გამოიყენოს და მითითება მისცეს პროკურორს იმ ფაქტებზე გამოძიების ჩატარებისა(ანუ ფაქტობრივად, ახალ ფაქტებზე გამოძიების დაწყებისა), რაზედაც არ

ყოფილა დაწყებული და წარმოებული გამოძიება, რადგანაც სასამართლო არ არის გამოძიების დაწყების(ასეთი მითითების მიცემის) უფლებამოსილების მქონე ორგანო, სასამართლო უფლებამოსილია მიუთითოს პროკურორს საქმეზე გამოძიების ან შეწყვეტილი დევნის განახლების(გაგრძელების) და არა გამოძიების დაწყების შესახებ.

ნ). სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა

პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება 10 დღის ვადაში ამავე(დადგენილების გამომტან) სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში შეუძლიათ გაასაჩივრონ:

– პროკურორმა,
– ეჭვმიტანილმა,
– ბრალდებულმა,
– დაზარალებულმა,
– სამოქალაქო მოსარჩელემ,
– სამოქალაქო მოპასუხემ
– პირმა, რომლის განცხადებითაც დაიწყო გამოძიება,
– საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირების დამცველს და წარმომადგენელს(თუ არსებობს საქმეში წარმომადგენლის მონაწილეობის კანონით დადგენილი საფუძვლები), საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობით, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული გამონაკლისებისა – სსსკ-ის 243-ე მუხლის 1^1 ნაწილი და, დაზარალებულთან მიმართებაში, ასევე სსსკ-ის 71-ე მუხლი.

ო). საქმის მასალების საგამოძიებო კოლეგიაში გადაგზავნამდე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შესამოწმებელი საკითხები

საქმეზე წინასწარი გამოძიების ან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებულ საჩივარზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებაზე საჩივრის შეტანა ავტომატურად არ იწვევს ამ საჩივრისა და შესაბამისი მასალების საგამოძიებო კოლეგიაში გადაგზავნის ვალდებულებას. საჩივრისა და მასალების გადაგზავნამდე სასამართლომ უნდა შეამოწმოს რამდენიმე საკითხი, კერძოდ:

1). შეტანილია თუ არა საჩივარი კანონით დადგენილი 10 დღიანი ვადის დაცვით,

2). თუ შეტანილია საჩივარი დამცველის(წარმომადგენლის) მიერ დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობის გარეშე – არსებობს თუ არა თანხმობის გარეშე საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი საფუძვლები(წინაპირობები).

პ). საჩივრის შეტანა გასაჩივრების ვადის დარღვევით და სასამართლოს მოქმედება

თუ მასალებით ირკვევა, რომ დარღვეულია გასაჩივრების ვადა, შეიძლება არსებობდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოქმედების რამდენიმე ვარიანტი:

ვარიანტი ა): საგამოძიებო კოლეგიის სახელზე შეტანილი საჩივარი შეიცავს მხოლოდ მოთხოვნას მოსამართლის დადგენილების გაუქმების შესახებ და საჩივრით არ არის მოთხოვნილი გასაჩივრების ვადის აღდგენა(საპატიოდ ჩათვლა), ან საჩივართან ერთად ან ცალკე არ არის შეტანილი განცხადება(შუამდგომლობა) გასაჩივრების ვადის აღდგენის(საპატიოდ ჩათვლის) მოთხოვნით – ასეთ შემთხვევაში საჩივარი და მასალები საგამოძიებო კოლეგიაში არ იგზავნება, ამასთან, მოსამართლეს არ გამოაქვს რაიმე გადაწყვეტილება, არამედ, სასამართლოს კანცელარია წერილით(მიმართვით) აცნობებს საჩივრის ავტორს, რომ გასაჩივრების ვადის დარღვევის(გაშვების) გამო საჩივარი და მასალები არ იქნება გადაგზავნილი საგამოძიებო კოლეგიაში. ამის შემდეგ საჩივრის შემტან პირს(მხარეს) უფლება აქვს ცალკე განცხადებით(შუამდგომლობით) მოითხოვოს გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენა(საპატიოდ მიჩნევა). ეს განცხადება(შუამდგომლობა) ექვემდებარება პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ განხილვას და გადაწყვეტას. მოსამართლე უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე განცხადების(შუამდგომლობის) განხილვის შედეგად გამოიტანოს დადგენილება:

– ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ; ან
– ვადის აღდგენის(ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის) შესახებ.

ვარიანტი ბ): საჩივრის ავტორი(საჩივრის შემტანი მხარე) სგამოძიებო კოლეგიის სახელზე შეტანილ საჩივარში ერთდროულად აყენებს ორ მოთხოვნას, ითხოვს როგორც მოსამართლის დადგენილების გაუქმებას, ასევე, გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევას, ან საჩივართან ერთად(ან ცალკე) შემოტანილი შუამდგომლობით(განცხადებით) ითხოვს გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევას – ასეთ შემთხვევაში მოსამართლე უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე განცხადების(შუამდგომლობის) განხილვის შედეგად გამოიტანოს დადგენილება:

– ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ; ან
– ვადის აღდგენის(ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის) შესახებ;

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის დადგენილება ვადის აღდგენის(საპატიოდ მიჩნევის) შესახებ არ საჩივრდება. ვადის აღდგენის(საპატიოდ მიჩნევის) შემთხვევაში სასამართლო „არსებით“

საჩივარსა და შესაბამის მასალებს საერთო წესით აგზავნის შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

საჩივრის ავტორი(მხარე) უფლებამოსილია ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ დადგენილება გაასაჩივროს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. თუ საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე ძალაში დატოვებს ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებას, ამით ამ საქმეზე წარმოება მთავრდება, ხოლო თუ საგამოძიებო კოლეგიის მოსაამართლე გააუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებას ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, ანუ აღადგენს გასაჩივრების ვადას(საპატიოდ მიიჩნევს გასაჩივრების ვადის გაშვებას), საერთო წესით არსებითად იხილავს და წყვეტს საჩივარს პროკურორის დადგენილებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებაზე.

თუ გასულია(გაშვებულია) გასაჩივრების ვადა, კანონით დადგენილი წესით მოთხოვნილი იყო ვადის აღდგენა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ისე გადაიგზავნა მასალები საგამოძიებო კოლეგიაში, რომ არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება ვადის აღდგენის საკითხზე(ანუ პირველ ინსტანციას არ უმსჯელია ამ საკითხზე), საგამოძიებო კოლეგია არ იხილავს საჩივარს, საჩივარი და მასალები ვადის აღდგენის შესახებ მხარის მიერ დაყენებული მოთხოვნის განსახილველად უბრუნდება პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელიც ვალდებულია განიხილოს საკითხი ვადის აღდგენის შესახებ, გამოიტანოს შესაბამისი დადგენილება და იმოქმედოს საერთო წესებით საჩივრისა და მასალების საგამოძიებო კოლეგიაში გადაგზავნასთან დაკავშირებით.

ჟ). საჩივრის შეტანა დამცველის(წარმომადგენლის) მიერ დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობის გარეშე და სასამართლოს მოქმედება

საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირების დამცველს და წარმომადგენელს(თუ არსებობს საქმეში წარმომადგენლის მონაწილეობის კანონით დადგენილი საფუძვლები), საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაცვის ქვეშ მყოფი პირი არასრულწლოვანია, ან აქვს ისეთი ფსიქიკური ან ფიზიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის თანხმობის მიღებას(სსსკ-ის 243-ე მუხლის 1[1] ნაწილი), ან იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებულის დაცვა(წარმომადგენლობა) ხორციელდება დაზარალებულის ნებისგან დამოუკიდებლად. სსსკ-ის 71-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაზარალებულის ნებისგან დამოუკიდებელი, ანუ იძულებითი, დაცვა(წარმომადგენლობა) ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში – თუ დაზარალებული არასრულწლოვანი, ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ

შეუძლია დაიცვას თავისი ინტერესები ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] ან/და 143[2] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებულია.

მხოლოდ დამცველის(წარმომადგენლის) მიერ, მისი დაცვის ქვეშ მყოფის თანხმობის გარეშე, საჩივრის შეტანის შემთხვევაში საჩივრისა და მასალების საგამოძიებო კოლეგიაში გადაგზავნამდე პირველი ინსტანციის სასამართლო ამოწმებს, არსებობს თუ არა დამცველის (წარმომადგენლის) მიერ მისი დაცვის ქვეშ მყოფის თანხმობის გარეშე საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ზემოთაღნიშნული პირობები.

თუ მასალებით ირკვევა, რომ არსებობს დამცველის (წარმომადგენლის) მიერ დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობის გარეშე საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი წინაპირობები, პირველი ინსტანციის სასამართლო საერთო წესით საჩივარსა და მასალებს უგზავნის შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას.

თუ მასალებით ირკვევა, რომ არ არსებობს დამცველის (წარმომადგენლის) მიერ დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობის გარეშე საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი წინაპირობები, ასეთ შემთხვევაში საჩივარი და მასალები საგამოძიებო კოლეგიაში არ იგზავნება, ამასთან, მოსამართლეს არ გამოაქვს რაიმე გადაწყვეტილება, არამედ, სასამართლოს კანცელარია წერილით (მიმართვით) აცნობებს საჩივრის ავტორს(დამცველს(წარმომადგენელს), რომ დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობის არარსებობის გამო საჩივარი და მასალები არ იქნება გადაგზავნილი საგამოძიებო კოლეგიაში.

დამცველის მიერ საჩივარი კანონით დადგენილი ფორმით – დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობით(როდესაც საავალდებულოა თანხმობა) – სასამართლოში შეტანილი უნდა იქნეს გასაჩივრების კანონით დადგენილ 10 დღიან ვადაში. თუ დამცველის მიერ საჩივარი შეტანილია დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანხმობის გარეშე 10 დღიან ვადაში, ხოლო თანხმობა შეტანილია 10 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ეს ნიშნავს, რომ დარღვეულია გასაჩივრების ვადა, საჩივარი და მასალები არ უნდა გადაიგზავნოს საგამოძიებო კოლეგიაში, ამასთან, მოსამართლეს არ გამოაქვს რაიმე გადაწყვეტილება, არამედ, სასამართლოს კანცელარია წერილით (მიმართვით) აცნობებს საჩივრის ავტორს(მხარეს), რომ გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო საჩივარი და მასალები არ იქნება გადაგზავნილი საგამოძიებო კოლეგიაში. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გასაჩივრების ვადის აღდგენის შესახებ მოთხოვნის დაყენებისა და განხილვისათვის დადგენილი საერთო წესი.

IX. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე განაჩენის გადასინჯვა

ა). გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას

სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორის ან გამომძიებელის დადგენილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე განაჩენის გადასასინჯად წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ.

ბ). პროკურორთან და სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირები

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის ან სხვა სასამართლო გადწყვეტილების გადასინჯვის შესახებ შესაბამის პროკურორთან საჩივრის შეტანის უფლება აქვთ:

– მხარეებს,

– მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში – მის ნათესავს, დამცველს ან სხვა დაინტერესებულ პირს.

იმავე პირებს, თუ მათ გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით უარი ეთქვათ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე განაჩენის გადასასინჯად წარმოების აღძვრაზე, შეუძლიათ პროკურორის დადგენილება გაასაჩივრონ შესაბამის სასამართლოში.

გ). განსჯადი სასამართლო

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასასინჯად წარმოების დაწყების მოთხოვნით საჩივარი შეიტანება საქართველოს გენერალურ პროკურორთან, ან შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორთან. საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმებას საქართველოს გენერალური პროკურატურა, ან შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა ავალებს ქვემდგომ პროკურორებს. თუ რომელ პროკურორს(პროკურატურას) უნდა დაევალოს საჩივრის შემოწმება, წყეტს საქართველოს გენერალური პროკურატურა, ან შესაბამისი ავტონომიური რესპურლიკის პროკურატურა.

პროკურორის ან გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს იმ მაგისტრატ მოსამართლესთან, ან შესაბამისი რაიონული(საქალაქო) სასამართლოს მოსამართლესთან, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც მდებარეობს

ის საგამოძიებო ორგანო, ან პროკურატურა, რომლის გამომძიებელმა ან პროკურორმაც გამოიტანა დადგენილება.

დ). ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა შეაფასოს სასამართლომ საჩივრის გადაწყვეტისას

სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ კანონიერ ძალაში შესული და საბოლოო განაჩენი ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მთლიანად ან ნაწილობრივ, თუ არსებობს:

– ფაქტობრივი ხასიათის ახლად აღმოჩენილი გარემოებანი, ან

– სამართლებრივი ხასიათის ახლად გამოვლენილი გარემოებანი.

იმის მიხედვით, გარემოება ახლად აღმოჩენილია(ანუ ფაქტობრივი ხასიათის ახალი გარემოებაა), თუ ახლად გამოვლენილია(ანუ სამართლებრივი ხასიათის ახალი გარემოებაა), დადგენილია გადაწყვეტილების გადასინჯვის სხვადასხვა წესი.

ახლად აღმოჩენილად(შესაბამისად, ამ წესით გადაწყვეტილების შესაძლო გადასინჯვის საფუძვლად) შეიძლება მიჩნეული იქნეს მხოლოდ ფაქტობრივი ხასიათის ახალი გარემოებები და არა სამართლებრივი ხასიათის ახალი გარემოებები.

ახლად აღმოჩენილ ფაქტობრივ გარემოებებს მიეკუთვნება:

– როცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მოწმის ჩვენება ან ექსპერტის დასკვნა, აგრეთვე ყალბია სხვა მტკიცებულება, რომლებიც საფუძვლად დაედო განაჩენს ან განჩინებას;

– როცა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით დადგენილია მოსამართლის, გამომძიებლის ან პროკურორის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მან ჩაიდინა ამ საქმის განხილვის დროს;

– სხვა გარემოება, რომელიც განაჩენის ან განჩინების გამოტანის დროს სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო, ხოლო თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ან იმ პირის ბრალეულობას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

– გარემოებანი, რომლებიც მოწმობენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას, იმ მტკიცებულებათა დაუშვებლობას, რომლებიც საფუძვლად დაედო განაჩენს.

საჩივრის განხილვისას სასამართლო პირველ რიგში ამოწმებს არის თუ არა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება (გარემოებები) ახლად აღმოჩენილი. ახლად აღმოჩენილად არ შეიძლება ჩაითვალოს არცერთი გარემოება, რომელიც ცნობილი იყო სასამართლოსათვის(სასამართლოებისათვის) იმ გადაწყვეტილების გამოტანისას, რომლის გადასინჯვასაც ითხოვენ. თუ საჩივარი დასაბუთებულია იმით, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ამა თუ იმ ფაქტობრივ გარემოებას, უსაფუძვლოდ გაიზიარა თუ არ გაიზიარა ესა თუ ის მტკიცებულება(ანუ თუ საჩივარი ფაქტობრივად წარმოადგენს სააპელაციო თუ საკასაციო საჩივარს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებაზე ან დასაბუთებულობაზე), ასეთი გარემოებები არ შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილ გარემოებებად. თუ სასამართლო დაადგენს, რომ საჩივრის საფუძვლად მითითებული გარემოება ახალია(არ იყო ცნობილი გადაწყვეტილების გამოტანისას) უნდა შეფასდეს რამდენად არსებითია ეს გარემოება, ანუ საკითხის განხილვისას უნდა შეფასდეს საჩივრის ავტორის მიერ ახლად აღმოჩენილად მიჩნეული გარემოება მოახდენს(მოახდენდა) თუ არა არსებით გავლენას იმ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის გადასინჯვასაც ითხოვენ. საჩივრის განხილვისას უნდა შეფასდეს ასევე, რამდენად ახლად აღმოჩენილია გარემოება, ანუ, როდის გახდა საჩივრის ავტორისათვის ეს გარემოება ცნობილი და შეეძლო თუ არა ამ გარემოებაზე მიეთითებინა (მოეთხოვა მისი გამოკვლევა) იმ საქმის გამოძიების ან სხვადასხვა სასამართლო ინსტანციებში განხილვისას, რომელზე გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვასაც ითხოვს.

ე). საჩივრის განხილვისა და სხვა პროცედურები

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე განაჩენის გადასასინჯად წარმოების აღძვრაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის ან გამომძიებელის დადგენილებაზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით გამოიყენება სსსკ-ის 242-ე მუხლით დადგენილი წესები, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ საჩივრის განხილვის, გადაწყვეტის, გასაჩივრების ან ნებისმიერ სხვა პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო მოქმედებს იმ წესების დაცვით, რაც მითითებული იქნა საქმეზე წინასწარი გამოძიების ან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილებაზე სასამართლოში შეტანილი საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

X. სისხლისსამართლებრივი დევნის გაჭიანურება

ა). საჩივრის სახეები

სასამართლოში შეიძლება შეტანილი იქნეს:

– უფლებამოსილი პირის საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით;

– ბრალდებულის საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე.

ბ). განსჯადი სასამართლო

საჩივარი შეიტანება მაგისტრატ მოსამართლესთან, ან შესაბამისი რაიონული(საქალაქო) სასამართლოს მოსამართლესთან წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით.

გ). საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირები

პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის უფლება აქვთ:
– იმ პირს, რომლის მიმართაც ხდება მტკიცებულებათა შეკრება,
– დაზარალებულს, მის დამცველს(წარმომადგენელს),
– სამოქალაქო მოსარჩელეს.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბრალდებულს.

დ). საჩივრის შეტანის ვადა

პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების (ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის) მოთხოვნით სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის ვადა დაწესებული არ არის. საჩივრის შეტანა შეიძლება წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის ნებისმიერ სტადიაზე მის დამთავრებამდე. საჩივრის შეტანა შეიძლება მხოლოდ წინასწარი გამოძიების დაწყების შემდეგ, ანუ არ შეიძლება საჩივრის შეტანა წინასწარი გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე ბრალდებულის მიერ სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის ვადაა პირისათვის(ბრალდებულისათვის) ბრალდებულის

სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების ასლის გადაცემიდან 10 დღე.

ე). ძირითადი საკითხები, რომლებიც უნდა შეაფასოს სასამართლომ საჩივრების გადაწყვეტისას

1. პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით შეტანილი საჩივრის განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და ასევე სსსკ-ის თანახმად, დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს, ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს პროკურატურას.

გასათვალისწინებელია, რომ საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, თუმცა, ბუნებრივია, მოსამართლემ რომც დააკმაყოფილოს საჩივარი, იგი თავად ვერ დაიწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას, რამეთუ მას აღნიშნული უფლებამოსილება არ გააჩნია. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს პროკურორმა ან გამომძიებელმა პროკურორის თანხმობით.

2. სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურების შესახებ ბრალდებულის საჩივრის განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ საჩივრის განხილვისას მოსამართლე არ წყვეტს(არ იხილავს) ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის და ამ საკითხზე გამოტანილი დადგენილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის საკითხს. მოსამართლე ამოწმებს იმას, გაჭიანურდა თუ არა შეგნებულად(უსაფუძვლოდ) პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, რაც ამ შემთხვევაში გაიგივებულია პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემასთან. ანუ მოსამართლე ამოწმებს რა მტკიცებულებები უდევს საფუძვლად პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემას(რა მტკიცებულებებია მითითებული ბრალდების დადგენილებაში), როდის არის მოპოვებული ეს მტკიცებულებები და როდის არის პირი ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული(როდის არის გამოტანილი დადგენილება). სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურებად ითვლება შემთხვევა, როდესაც ბრალდების დამადასტურებლად მიჩნეული (ბრალდების დადგენილებაში მითითებული) მტკიცებულებების მოპოვებიდან

ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე(დადგენილების გამოტანამდე) გასულია გარკვეული დრო. მაგ: თუ ბრალდების დამადასტურებლად მიჩნეული ბოლო მტკიცებულება მოპოვებულია 5 აგვისტოს და ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილება გამოტანილია 5 ოქტომბერს, ისე, რომ 5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე დროის განმავლობაში არ მიმდინარეობდა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები ბრალდების დასადასტურებლად ან უარსაყოფად, ითვლება, რომ ამ დროის განმავლობაში შეგნებულად გაჭიანურდა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა(ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა). თუ სასამართლო დაადგენს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა შეგნებულად გაჭიანურდა, დაუშვებლად ცნობას ექვემდებარება მხოლოდ ამ პირის მიმართ მხოლოდ ამ კონკრეტულ ბრალდებასთან დაკავშირებული ის მტკიცებულებები, რაც მოპოვებული იქნა ბრალდების საფუძვლად მიჩნეული ბოლო მტკიცებულების მოპოვებიდან ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების გამოტანამდე გასული დროის განმავლობაში და არა ის მტკიცებულებები, რაც მიჩნეულია ბრალდების დამადასტურებლად (მითითებულია ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში).

ვ). საჩივრის განხილვისა და სხვა პროცედურები

პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების (ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის) მოთხოვნით, ან სისხლისსამართლებრივი დევნის(ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის) შეგნებულად გაჭიანურების შესახებ სასამართლოში შეტანილ საჩივრებთან დაკავშირებით გამოიყენება სსსკ-ის 242-ე მუხლით დადგენილი წესები, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ საჩივრების განხილვის, გადაწყვეტის, გასაჩივრების ან ნებისმიერ სხვა პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო მოქმედებს იმ წესების დაცვით, რაც მითითებული იქნა საქმეზე წინასწარი გამოძიების ან პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილებაზე სასამართლოში შეტანილი საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

XI. წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისას გამომძიებლის ან პროკურორის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ა). სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის უფლებამოსილება

სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ მას ზიანი მიადგა საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოებისას გამომძიებლის ან პროკურორის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად, ანუ სასამართლოსათვის საჩირით მიმართვა შეუძლია პირს, რომელსაც თავი დაზარალებულად მიაჩნია გამომძიებლის ან პროკურორის მოქმედების შედეგად. ეს პირი შეიძლება იყოს როგორც პროცესუალურად დაზარალებული(ანუ პირი როლმელსაც ზიანი მიადგა იმ დანაშაულის შედეგად, რომელზეც მიმდინარეობს გამოძიება), ასევე, ნებისმიერი სხვა პირი(მოწმე და ა. შ.).

ბ). საჩივრის შეტანის ვადა

საჩივრის შეტანის რაიმე კონკრეტულ ვადას კანონი არ ადგენს, დადგენილია მხოლოდ საჩივრის შეტანის უფლების წარმოშობისა და დამთავრების ვადა, კერძოდ:

საჩივრის შეტანა შეიძლება მხოლოდ საქმეზე წინასწარი გამოძიების დაწყების შემდეგ, წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისას, ანუ წინასწარი გამოძიების ნებისმიერ სტადიაზე, მის დამთავრებამდე. საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრების შემდეგ საჩივარი სსსკ-ის 227-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით სასამართლოში შეტანასა და სასამართლოს მიერ არსებით განხილვას არ ექვემდებარება.

გ). განსჯადი სასამართლო

საჩივარი შეიტანება მაგისტრატ მოსამართლესთან ან შესაბამის რაიონულ(საქალაქო) სასამართლოში წინასწარი გამოძიების წარმოების ადგილის მიხედვით.

დ). საჩივრის განხილვის ფორმა და ვადა

სსსკ-ი არ ითვალისწინებს 227-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობას, ამდენად, საჩივარი განხილული უნდა იქნეს ზეპირი მოსმენით.

სსსკ-ი 227-ე მუხლის პირველი ნაწილი ასევე არ ადგენს ამ ტიპის საჩივრის განხილვის რაიმე სპეციალურ ვადას, შესაბამისად, სასამართლოს მიერ საჩივარი განხილული უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა, როგორც ეს დადგენილია ზოგადად სსსკ-ის 227-ე მუხლით.

საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის ერთთვიანი ვადის ათვლა უნდა მოხდეს შემდეგი წესით:

– სასამართლომ გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის გარეშე, ანუ იმ საქმის მასალების გაცნობის გარეშე, რომელზეც შემოტანილია საჩივარი. საჩივრის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ(გონივრულ ვადაში) სასამართლომ შესაბამისი დაწესებულებიდან(საგამოძიებო უწყება, პროკურატურა) უნდა გამოითხოვოს შესაბამისი საქმე და განხილვის ერთთვიანი ვადის ათვლა დაიწყება შესაბამისი საქმის მასალების სასამართლოში შესვლის დღიდან.

მოსამართლე ნიშნავს სხდომას და უზრუნველყოფს განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილების მქონე პირების ინფორმირებას სხდომის დროისა და ადგილის შესახებ სსსკ-ით დადგენილი საერთო წესით.

ე). განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილების მქონე პირები

სასამართლო განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ:

– საჩივრის ავტორს,
– საჩივრის ავტორის დამცველს(წარმომადგენელს),
– იმ ორგანოს წარმომადგენელს, რომლის მოქმედებაც საჩივრდება,
– პროკურორს.

ვ). სასამართლო სხდომის პროცედურა

მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად.

საჩივრის სასამართლო განხილვის სხდომის სპეციალურ პროცედურას სსსკ-ის 227-ე მუხლი არ ადგენს. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ით დადგენილი ზოგადი პროცედურებით, განსახილველი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით. სხდომა უნდა ჩატარდეს შემდეგი ძირითადი პროცედურების დაცვით: უნდა გამოცხადდეს განსახილველი საჩივარი, მხარეები(განხილვაში მონაწილე პირები), მოსამართლის და მდივნის ვინაობა, დაისვას აცილების საკითხი, მიეცეს სიტყვა საჩივრის ავტორს, მის დამცველს, ან წარმომადგენელს(თუ მონაწილეობს დამცველი ან არსებობს წარმომადგენლის მონაწილეობის კანონით

გათვალისწინებული სფუძვლები), მიეცეს სიტყვა პროცესის სხვა მონაწილეებს თავიანთი პოზიციის(მოსაზრების) ჩამოსაყალიბებლად, მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა წარმოადგინონ თავიანთი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები(მასალები).

განხილვის დამთავრების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება ადგილზე თათბირით ან სათათბირო ოთახში გასვლით. მოსამართლე აცხადებს მიღებული დადგენილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს.

ზ). საჩივრის განხილვისას სასამართლოს მიერ შესაფასებელი ძირითადი საკითხები

სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ საჩივარი დასაბუთებული უნდა იყოს, მასში კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული თუ, მომჩივნის აზრით, გამომძიებლის ან პროკურორის რომელი მოქმედებებია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი, რაში გამოიხატება მათი უკანონობა ან დაუსაბუთებლობა, გამოიწვია თუ არა ამ მოქმედებებმა ზიანი, რა ზიანი გამოიწვია, ასევე ის, რომ ზიანი დადგა სწორედ გამომძიებლის ან პროკურორის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი მოქმედებების შედეგად, რა ოდენობის ზიანია მიყენებული.

თ). გადაწყვეტილების ფორმა

მოსამართლე უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება:

ა). დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ, რომელშიც დასაბუთებულად იქნება მითითებული მიყენებული ზიანის სახეობა და ოდენობა, ასევე, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე;

ბ). დასაბუთებული დადგენილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ი). სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების წესი

სსსკ-ის 227-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით მოსამართლის მიერ გამოტანილი დადგენილება სგამოძიებო კოლეგიაში არ საჩივრდება, არამედ, მისი გასაჩივრება შეიძლება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატაში სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი წესით და ვადაში.

XII. ნივთიერი მტკიცებულების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა

ა). სასამართლოსათვის შუმდგომლობით მიმართვის უფლება

სსსკ-ის 233[1]-ე მუხლით დადგენილი წესით ნივთიერი მტკიცებულების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ შუმდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება პროკურორს აქვს ორი წინაპირობის დაცვით:

1. საქმეზე დაწყებული უნდა იყოს წინასწარი გამოძიება და არ უნდა იყოს დამთავრებული, და

2. შუამდგომლობის შეტანამდე დაცული(შესრულებული) უნდა იყოს სსსკ-ის 123-ე მუხლის 1[1] და მე-2 ნაწილებით ან 124-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურები.

ბ). განსჯადი სასამართლო

შუამდგომლობა შეიტანება მაგისტრატ მოსამართლესთან ან შესაბამის რაიონულ(საქალაქო) სასამართლოში წინასწარი გამოძიების წარმოების ადგილის მიხედვით.

გ). შუამდგომლობის განხილვის ფორმა და ვადა

სსსკ-ი 233[1]-ე მუხლი არ ითვალისწინებს შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობას, ამდენად, შუამდგომლობა განხილული უნდა იქნეს ზეპირი მოსმენით.

სსსკ-ი 233[1]-ე მუხლი ასევე არ ადგენს ამ ტიპის შუამდგომლობის განხილვის რაიმე სპეციალურ ვადას, შესაბამისად, სასამართლოს მიერ შუამდგომლობა განხილული უნდა იქნეს არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა, როგორც ეს დადგენილია ზოგადად შუამდგომლობის განხილვისა და გადაწყვეტისათვის სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-6 ნაწილით.

დ). განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილება

შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობის უფლება აქვთ:

– პროკურორს,

– ნივთის მესაკუთრეს(თუ ასეთი ცნობილია),

– ნივთის მფლობელს(თუ ასეთი ცნობილია),

– ნივთის მესაკუთრის, ან მფლობელის დამცველს (წარმომადგენელს).

მოსამართლე ნიშნავს სხდომას და უზრუნველყოფს განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილების მქონე პირების ინფორმირებას სხდომის დროისა და ადგილის შესახებ სსსკ-ით დადგენილი წესით.

ე). სასამართლო სხდომის პროცედურა

მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად.

შუამდგომლობის სასამართლო განხილვის სხდომის სპეციალურ პროცედურას სსსკ-ის 233[1]-ე მუხლი არ ადგენს. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ით 140-ე მუხლით დადგენილი ზოგადი პროცედურებით, განსახილველი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ნივთის მესაკუთრის(მფლობელის), ან მათი დამცველების (წარმომადგენლების) გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს შუამდგომლობის განხილვას.

განხილვის დამთავრების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება ადგილზე თათბირით ან სათათბირო ოთახში გასვლით. მოსამართლე აცხადებს მიღებული დადგენილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს.

ვ). გადაწყვეტილების ფორმა

მოსამართლე უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება:

ა). დადგენილება პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და ნივთიერი მტკიცებულების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ, ან

ბ). დადგენილება პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ(ანუ ნივთიერი მტკიცებულების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევაზე უარის თქმის შესახებ).

ზ). სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების წესი

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის დადგენილება ნივთიერი მტკიცებულების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შესაძლებელია მისი გამოტანიდან შვიდი დღის ვადაში ერთჯერადად გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

დადგენილების გასაჩივრების უფლებამოსილება გააჩნიათ შუამდგომლობის განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილების მქონე პირებს კანონით დადგენილი წესით დადგენილების გამომტან სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით.